



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბიზნესის ადმინისტრირება

ფინანსები და საბანკო საქმე

ნარი თხელიძე

კომპანიის ფინანსური საქმიანობის ანალიზი და შედეგები

ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი

ხათუნა ბარბაქაძე

თბილისი 2020

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია თემაზე: კომპანიის ფინანსური საქმიანობის შედეგები და ანალიზი. თემაში განხილულია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის პროგნოზირება, ეკონომიკური და ფინანსური ანალიზის მნიშვნელობა, ფინანსური კოეფიციენტების შეფასება, გადახდისუნარობის მნიშვნელობა და შეფასება.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფინანსები დიდ გავლენას ახდენს საწარმოთა მდგომარეობაზე, ყველა გადაწყვეტილება, რაც მიიღება ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია და მოითხოვს დაკვირვებას, რადგან მასზეა დამოკიდებული ორგანიზაციების სიცოცხლისუნარიანობა.

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ფინანსურმა მენეჯერმა უნდა იცოდეს, როგორც საკუთარი კომპანიის ასევე მისი კონკურენტის ფინანსური მაჩვენებლები, რათა შეძლოს კონკურენტზე უპირატესობის მოპოვებას. კომპანიის ფინანსური შედეგების შესაფასებლად არაა საკმარისი ზედაპირული ანალიზი, აუცილებელია უფრო ღრმა დეტალური კვლევა, რომლისთვისაც გამოიყენებენ კოეფიციენტებს.

სამაგისტრო ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავის, რვა პარაგრაფის, დასკვნის და გამოყენებული ლიტერატურისაგან. შესავალში განხილულია თემის აქტუალობის დასაბუთება, კვლევის ობიექტი, მიზნები და ამოცანები, კვლევისათვის გამოყენებული მეთოდები, კვლევის სიახლეები. პირველ თავი განხილულია ფინანსური საქმიანობის მნიშვნელობა და პრობლემები ეკონომიკაში. მეორე თავი მოიცავს კომპანიის ფინანსური მდგრადობის დიაგნოსტიკა და მასზე მოქმედ ფაქტორებს. მოცემულ თავში გაანალიზებულია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შეფასების მეთოდები. მესამე თავში ახსნილია კონკრეტული კომპანიის გადახდისუნარობის საპროგნოზო მაჩვენებლები და დასახულია კომპანიის ფინანსური საქმიანობის გაჯანსაღების ძირითადი გზები.

Annotation

Result and analysis of the company's financial activities.

Nari tkhelidze

The master's thesis is presented on the topic: Result and analysis of the company's financial activities. The topic discusses the forecast of the company's financial situation, the importance of economic and financial analysis, the assessment of financial ratios, the importance of solvency and valuation.

In a market economy, finances have a big impact on the state of enterprises, every decision that is made in this regard is important and requires observation, because the viability of organizations depend on it.

In a modern market economy, a financial manager needs to know the financial makings of both his own company and that of his competitor in order to gain an advantage over a competitor. In order to assess the financial results of the company, there is not enough superficial analysis, it is necessary to have a deepest detailed study, for what, they use coefficients.

The master thesis consists of an introduction, three chapters, eight subsections, a conclusion and a reference literature. The introduction discusses the rationale for the topic, the object of research, goals and objectives, methods used for research, research news. The first chapter discusses the importance of financial activities and problems in the economy. The second chapter covers the diagnosis of the financial stability of the company and also what factors are affecting on it. This chapter analyzes the company's financial valuation methods. The third chapter explains the forecasting capabilities of a particular company and outlines the main ways to improve a company's financial activities.

შინაარსი

ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ანოტაცია (ინგლისურ ენაზე)

შესავალი	5
თავი პირველი.ფინანსური საქმიანობის მნიშვნელობა და არსებული პრობლემები ეკონომიკაში	8
1.1. ფინანსური საქმიანობის ანალიზის ძირითადი მიმართულებები.....	8
1.2. ეკონომიკური ანალიზის მნიშვნელობა და ძირითადი ამოცანები	17
1.3. ფინანსური მდგომარეობის ადგილი ფინანსურ ანალიზში	19
თავი მეორე.კომპანიის ფინანსური მდგრადობის დიაგნოსტიკა და მასზე მოქმედი ფაქტორები.	25
2.1. კომპანიის ფინანსური მდგრადობის არსი და პრობლემები.	25
2.2. ფინანსური მდგრადობის შეფასება და გაუმჯობესების მიმართულებები.....	27
2.3. კომპანიის ფინანსური მდგრადობის კოეფიციენტების შეფასება	32
თავი მესამე.კომპანიის გადახდისუნარობის პროგნოზირება და მისი გამოსწორების გზები.	44
3.1. გადახდისუნარობის (გაკოტრების) მნიშვნელობა და შეფასების მეთოდები.....	44
3.2. კომპანიის ფინანსური საქმიანობის გაჯანსაღების ძირითადი გზები.....	54
დასკვნა	59
ბიბლიოგრაფია	61

შესავალი

თემის აქტუალურობის დასაბუთება. საბაზრო ეკონომიკის პირობებში კომპანიის გამართული ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია მიმდინარე პროცესების მართვის და რეგულირების თანამედროვე მიდგომების გამოყენება. ეკონომიკური ფორმაციის ცვლილების შედეგად კომპანიები ხშირად დგანან ფინანსური კრიზისის წინაშე. აქედან გამომდინარე, აქტუალურ და მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს კომპანიების ფინანსური კრიზისის დაძლევის გზების ძიება. აღნიშნულის მიზანია კომპანიების ფინანსური მდგომარეობის შესწავლა და მისი პროგნოზირება.

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის უზრუნველყოფა, გაუმჯობესება და შესაბამისად, მისი ანალიზი აუცილებელია, რადგან ნებისმიერ კომპანიასთან ურთიერთობისას ფიზიკური და იურიდიული პირები დაინტერესებულნი არიან მისი ფინანსური მდგომარეობის შეფასებით. დაინტერესებული პირები შეიძლება იყვნენ: მომხმარებლები, მომწოდებლები, კრედიტორები, ინვესტორები და სხვა ისეთი ჯგუფები ან პირები, რომელთაც პირდაპირი ან ირიბი შეხება აქვთ მოცემულ კომპანიასთან. ყველა მათგანის ინტერესები ვლინდება ინდივიდუალურად. მაგალითად, კრედიტორებს აინტერესებთ კომპანიის გადახდისუნარიანობა როგორც მოცემულ მომენტში ასევე კრედიტით სარგებლობის პერიოდის განმავლობაში, რადგან დაზღვეულნი იყვნენ არგადახდის რისკისგან. რაც შეეხებათ დამფუძნებლებს, მათ ინტერესს ძირითადად წარმოადგენს მოგების მაქსიმიზაცია.

დღეისათვის კომპანიების მთავარი მიზანია ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება. ფინანსური ანალიზი კი წარმოადგენს მართვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებას, რომელიც გავლენას ახდენს ბიზნესის წარმატებაზე ან წარუმატებლობაზე. ფინანსური მდგომარეობა კი საშუალებას იძლევა კომპანია იყოს სტაბილური და მიმზიდველი ყველა დაინტერესებული მხარისათვის. ფინანსური მდგომარეობის ანალიზი კი კომპანიის აქტივების, დაფინანსების

წყაროების, ვალდებულებების, ლიკვიდურობის, გადახდისუნარიანობის, საქმიანი აქტიურობის, ფინანსური სიჯანსაღის განხილვას ითვალისწინებს. სწორედ აღნიშნული საკითხის აქტუალურობა დაედო საფუძვლად წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომს.

კვლევის ობიექტი. სამაგისტრო კვლევის ობიექტია კონკრეტული კომპანიის ფინანსური საქმიანობის შესწავლის საფუძველზე კოეფიციენტების გამოთვლა და მათ შედეგებზე დაყრდნობით დასკვნებისა და რეკომენდაციების ჩამოყალიბება, რომელიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს კომპანიის მართვაში.

კვლევის მიზანი და ამოცანები. სამაგისტრო ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესწავლა, გადახდისუნარიანობის თავიდან აცილების მეთოდების განსაზღვრა და ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების გზების ძიება. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, დასახულია შემდეგი სახის ამოცანები:

- კომპანიის შესახებ სრული ფინანსური ინფორმაციის მოძიება და ამ მონაცემებზე დაყრდნობით მისი ფინანსური მდგომარეობის შესწავლა;
- ლიკვიდობის, საქმიანი აქტივობის, გადახდისუნარიანობის და მომგებიანობის მაჩვენებლების შეფასება;
- საინვესტიციო აქტივების მაჩვენებლების განსაზღვრა.

კვლევისათვის გამოყენებული მეთოდები. სამაგისტრო ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობიდან გამომდინარე, კვლევის პროცესში გამოყენებულია კონკრეტული კომპანიის მონაცემების განზოგადების ლოგიკურ-ისტორიული ანალიზი, ასევე, კვლევის სისტემური და ლოგიკური განზოგადების მეთოდები და ანალიზისა და სინთეზის მეთოდები.

კვლევის სიახლეები. სამაგისტრო ნაშრომში ჩამოყალიბებულია დასკვნები და რეკომენდაციები, რომლებიც საჭიროა კომპანიის ფინანსური მდგომარეობის სწორად და ეფექტიანად მართვისათვის. ჩატარებულია კონკრეტული კომპანიის

რამდენიმე წლის ფინანსური მდგომარეობის ანალიზი და გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები. კერძოდ:

- გაანალიზებული და დახასიათებულია დამოკიდებულება ლიკვიდურობას, მომგებიანობასა და რისკს შორის;
- დასაბუთებულია აქტიურობის კოეფიციენტების გავლენა აქტივების მართვის ეფექტიანობაზე;
- ნაჩვენებია გადახდისუნარობის დადგომის შესაძლებლობა და მისი თავიდან აცილების გზები.

თავი პირველი. ფინანსური საქმიანობის მნიშვნელობა და არსებული პრობლემები ეკონომიკაში

1.1. ფინანსური საქმიანობის ანალიზის ძირითადი მიმართულებები

ფინანსები დიდ გავლენას ახდენს ორგანიზაციების სიცოცხლისუნარიანობაზე, შესაბამისად, ყველა გადაწყვეტილება, რასაც ფინანსებთან დაკავშირებით იღებენ მენეჯერები აისახება კომპანიებზე. ფინანსები შეიძლება ორ ჭრილში განვიხილოთ:¹

- ნაერთი ფინანსური რესურსები;
- ფულადი ურთიერთობების ერთობლიობა.

ფინანსური რესურსი ესაა საწარმოს საშუალება, განახორციელოს ფულად-სასაქონლო ურთიერთობები. ფინანსურ რესურსებს მიეკუთვნება:

- ❖ გაცემული სესხები;
- ❖ ფულადი სახსრები;
- ❖ ნაყიდი ფასიანი ქაღალდები;
- ❖ სხვა მოთხოვნები.

ფინანსური რესურსები შესაძლებელია იყოს მოზიდული და საკუთარი.

მოზიდული ფინანსური რესურსი შეიძლება იყოს: ოფციონები, ფორვარდული კონტრაქტები, ფიუჩერსები, სვოპ გარიგებები და სპოტები.

რაც შეეხება საკუთარ ფინანსურ რესურსს ესაა: აქტივები, ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი.

საწარმოს ფულადი ურთიერთობები ახდენს ფინანსური რესურსების ფორმირებას. ფულადი ურთიერთობები არ შეიძლება გავაიგივოთ ფინანსურ რესურსთან. მოკლედ რომ ვთქვათ, ფინანსური რესურსები უზრუნველყოფენ

¹ ჭილაძე, ი. (2018). ფინანსური ანალიზი, მესამე გადამუშავებული გამოცემა. თბილისი: მერანი.

ფულადი ურთიერთობების წარმოებას ორ საწარმოს შორის, ორგანიზაციასა და საბანკო სისტემებს შორის, საწარმოსა და სახელმწიფო ბიუჯეტს შორის. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებში ფინანსურ რესურსებს მოიხსენებენ, ფინანსურ ინსტრუმენტად. ფინანსური ინსტრუმენტი, ესაა ხელშეკრულება რომელიც წარმოშობს ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორეს ვალდებულებას.

საწარმოს ფინანსები სამ ძირითად ფუნქციას ასრულებს:

- საწარმოო საშუალებების, მარაგების უზრუნველყოფა, რომელთა მობილიზაცია და ამოქმედება საჭიროა, რათა მიღწეული იყოს მიზნები;
- საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ხელშეწყობა;
- სახელმწიფოს სოციალური-პოლიტიკის განხორციელებაში საწარმოს მონაწილეობის ხელშეწყობა.

საწარმოები იმისათვის რომ მიიღონ სწორი ფინანსური გადაწყვეტილებები გამოიყენებენ ფინანსურ ანალიზს. ფინანსური ანალიზი არის საწარმოს:

- ❖ სიცოცხლისუნარიანობის;
- ❖ გადახდისუნარიანობის;
- ❖ სტაბილურობის;
- ❖ მომგებიანობის;
- ❖ ფინანსური უსაფრთხოების შეფასების საკითხები.

ორგანიზაციის ფინანსურ საკითხებზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ ფინანსურ მენეჯერებს, მათი მოვალეობაა გააკონტროლონ ფულადი შემოსულობები, გააკეთოს საწარმოს ფინანსური ანალიზი, დაგეგმოს საქმიანობა, გააკონტროლოს ორგანიზაციის დაფინანსების წყაროები, გაანაწილოს ფინანსური რესურსები და ქვეგანყოფილებებს მართებულად მიაწოდოს მომავალში განსახორციელებელი გეგმები, რათა ზუსტად მოხდეს მოცემული გეგმის შესრულება. თუ ზემოთ მოცემული საკითხები სწორად არ იქნება აღქმული, საწარმო ვერ შეძლებს გამართულ ფუნქციონირებას რადგან ჯაჭვისებურად ერთმანეთზეა მიბმული.

მენეჯერებმა უნდა გადაანაწილონ თანამშრომლებზე ზუსტად უფლება მოვალეობები, რათა ყველამ საკუთარი საქმე შეასრულოს.

ანალიზი ფინანსური ანგარიშგების მიხედვით ტარდება. ფინანსური ანგარიშგება არის ძირითადი საშუალება, რომლითაც აღიწერება საწარმოს ფინანსური მდგომარეობა. მისი ანალიზით შესაძლებელია შეფასდეს მმართველი რგოლის საქმიანობა, მათი შეცდომები და წარმატებებს, რადგან პერველნი ფინანსური დოკუმენტები გვამცნობენ კომპანიის ფუნქციონირების პროცესში შესაძლო პრობლემებზე და შედეგებს. ის ეხმარება საწარმოს მონაწილე სხვადასხვა სუბიექტებს, მუშაობის საბოლოო შედეგების შეფასებაში. ფინანსური ანგარიშგება თავისი არსით, სხვადასხვა ფინანსური გადაწყვეტილებების მისაღებად ინფორმაციის მომზადების სისტემას წარმოადგენს. ფინანსური ანალიზი ასევე არის წარსული, მიმდინარე და მომავალი შედეგების შეფასება. ფინანსური ანალიზი იყენებს სხვადასხვა ფინანსურ ანგარიშგებას. პირველი ესაა ბალანსი, ის აჯამებს დროის განსაზღვრულ მომენტში აქტივებს, ვალდებულებებს და მესაკუთრეების წილს. აქტივებში შედის: ფულადი საშუალებები, დებიტორული დავალიანებები, სასაქონლო მატერიალური მარაგები და ძირითადი საშუალებები. ვალდებულებებს მიეკუთვნება კრედიტორული დავალიანებები და საბანკო კრედიტები. მეორე ესაა შემოსავლების ანგარიშგება, აჯამებს შემოსავლების და ხარჯების რაოდენობას. გარკვეულწილად ეს ორი ანგარიშგება განსხვავდება ერთმანეთისგან, ბალანსი არის იმ მომენტის მდგომარეობის შეფასება, ხოლო შემოსავლების ანგარიშგება დგება კონკრეტულ პერიოდებზე ცალცალკე. ამ ანგარიშებიდან წარმოქმნება სხვა წარმოებული ანგარიშები: გაუნაწილებელი მოგების ანგარიში, ფინანსური საშუალებების ანგარიში და ნაღდი ფულის ანგარიში. ფინანსური ანგარიშგების ანალიზისას შესაძლებელია გამოვიყენოთ კომპიუტერული პროგრამები, განმეორებითი ანალიზის დროს, ასეთი პროგრამები იძლევა საშუალებას საწყისი მონაცემები ადვილად შეცვალოს. ანალიზი სხვადასხვა ალგორითმების დაანგარიშების საფუძველზე ქმნის შესაძლებლობას, რომ საფუძვლიანად იყოს

გამოკვლევული მოცემული საკითხები. ფინანსური ანალიზის საინფორმაციო ბაზებს წარმოადგენენ სააღრიცხვო და არასააღრიცხვო ინფორმაციები. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით მენეჯერები იკვლევენ საწარმოს ფინანსების გაუმჯობესების გზებს, ასევე ეხმარება მმართველ რგოლს, რომ გააკეთონ წინასწარი პროგნოზირებები.

ფინანსური ანალიზის ჩატარება ხდება სხვადასხვა მეთოდების საშუალებით. განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება: პროცენტული და კოეფიციენტური ანუ ფარდობითი მეთოდები. ფინანსური ანალიზის პროცენტული მეთოდის დროს სხვადასხვა პერიოდის ფინანსური მონაცემების პროცენტულად გამოსახვა და შედარება ხდება, ეს იძლევა კომპანიის საქმიანობის სწრაფად შეფასების საშუალებას. ხოლო ფინანსური ანგარიშგების ფარდობითობა არის ფინანსური ცვლადების თანაფარდობა რომელიც აღებულია ბალანსიდან ან მოგება-ზარალის ანგარიშიდან. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ მეთოდების გამოყენებას აზრი აქვს მხოლოდ მაშინ თუ მონაცემებს კომპანიის წარსულ პერიოდთან ან სხვა კომპანიის იგივე შედეგებთან ვადარებთ. კოეფიციენტები შეიძლება დავყოთ ხუთ ჯგუფად: ლიკვიდურობის, ფინანსური ლევერიჯის (სასესხო ვალდებულება). დაფარვის, აქტიურობის და მომგებიანობის. კომპანიის საქმიანობას ცალკე აღებული ვერცერთი მაჩვენებელი ვერ დაახასიათებს, ამიტომ კოეფიციენტები უნდა განვიხილოთ როგორც ერთი მთლიანობის ნაწილი და არა ცალ-ცალკე.

საწარმოს ფინანსური ანალიზით დაინტერესებულნი არიან როგორც შიგა ასევე გარე მომხმარებლები, აქედან გამომდინარე, მიზნები შესაძლებელია ორი ასპექტით განიხილოს: ინფორმაცია შიდა მომხმარებლების ინტერესიდან გამომდინარე და ინფორმაცია გარე მომხმარებლების ინტერესებიდან გამომდინარე. შიგა მომხმარებლებს მიეკუთვნება საწარმოს სამმართველო პერსონალი, რომლებიც დებულობენ სხვადასხვა ფინანსურ გადაწყვეტილებებს საწარმოში. მაგალითად, ფინანსური გეგმის შედგენა, კრედიტის აღების მიზნობრიობის დადგენა, რეალიზაციის რაოდენობის განსაზღვრა და სხვა. იმისათვის რომ თანამშრომლებმა

მიიღონ დროული და ეფექტური გადაწყვეტილება აუცილებელია ინფორმაციის სიზუსტე. შიდა მომხმარებლები დაინტერესებულნი არიან უშუალოდ საწარმოს საქმიანობით. მათ მიეკუთვნება:

- აქციონერები, რომელთა მიზანია განსაზღვრონ საკუთარი კაპიტალის ზრდის ან შემცირების მიზანშეწონილობა, რათა გადაწყვიტონ დაიტოვონ თუ გაყიდონ კონკრეტული წილები საწარმოში;
- კრედიტორები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან გაცემული სესხების დროული დაბრუნებით;
- მომწოდებლები რომლებიც მოცემული ინფორმაციის საფუძველზე განსაზღვრავენ დამკვეთის საიმედოობას;
- მყიდველები დაინტერესებულნი არიან საწარმოს საქმიანობის უწყვეტობით, განსაკუთრებით მაშინ თუ დამოკიდებულნი არიან მასზე;
- დაქირავებული მომუშავეები დაინტერესებულნი არიან დამქირავებლის ფინანსური სტაბილურობით;
- მთავრობები და მასზე დაქვემდებარებული უწყებები დაინტერესებულნი არიან ინფორმაციით, რადგან დაადგინონ საწარმოს საქმიანობა და საგადასახადო სისტემის სიზუსტე.

მეორე ჯგუფს უშუალოდ წარმოების პროცესებით არ არიან დაინტერესებულნი, მათ ინფორმაცია სჭირდებათ იმისათვის რომ დაიცვან პირველი ჯგუფის ინტერესები. მათ მიეკუთვნება:

- აუდიტორული ფირმები, რომლების ამოწმებენ ანგარიშებს;
- ფასიანი ქაღალდების ბირჟები რომლებიც ამოწმებენ ინფორმაციას ბირჟაზე მათი რეგისტრირებისას;
- სტატისტიკური და საფინანსო ორგანიზაციები, რომლებიც შედეგებს ანზოგადებენ;
- პროფკავშირები დაინტერესებულნი არიან, თანამშრომლების ხელფასებით და მათი ინტერესების დაცვით;

- პრესა და საინფორმაციო სააგენტოები ინფორმაციას იყენებენ რათა განაზოგადონ საწარმოს ფინანსური მაჩვენებლები;
- საზოგადოება, რომელსაც აინტერესებს ინფორმაცია საწარმოს როლის შესახებ, რა ადგილი უჭირავს ქვეყნის განვითარებაში.

იმისათვის რომ მოხდეს ყველა კითხვაზე სწორად პასუხის გაცემა და ყველა დაინტერესებულმა პირმა მიიღოს სრულფასოვანი შედეგი აუცილებელია ფინანსური ანალიზის მომზადებისას გათვალისწინებულ იქნეს სამი ძირითადი მოთხოვნა:

- უზრუნველყოს დასაბუთებული ფინანსური გადაწყვეტილებების მიღება;
- საწარმოს შემოსავლიანობის ცვლილების შეფასება;
- ორგანიზაციის დაფინანსების ეფექტიანობის შეფასების.

მოცემული მოთხოვნებიდან გამომდინარე, მიზნები ფინანსური ანალიზის შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

- საწარმოს დაფინანსების წყაროების შესწავლა;
- ფულადი ნაკადების ანალიზი;
- საწარმოს მომგებიანობის ანალიზი;
- საწარმოს ლიკვიდურობის და გადახდისუნარიანობის შესწავლა;
- საწარმოს აქტივების შესწავლა.

კომპანიის ფინანსური მდგომარეობა დაკავშირებულია სხვადასხვა მაჩვენებლებთან და ეს გულისხმობს როგორ მათ გამოთვლას ასევე შედარებას სხვადასხვა პერიოდების მიხედვით. ფინანსური ანალიზი გვაძლევს საშუალებას დავადგინოთ:

- ფინანსური სტრუქტურა - ესაა აქტივები და ვალდებულებები, რომელიც კომპანიის ფუნქციონირებისთვის იქნა მოძიებული.

- ოპერაციული ციკლი - რომელსაც გადის ორგანიზაცია, რათა მისი შექმნილი პროდუქცია ან გაწეული მომსახურება მოხვდეს ბაზარზე და მიეწოდოს მომხმარებელს.
- მიმდინარე მდგომარეობა და შედარებითი ეფექტიანობა - საწარმოს განვითარების შეფასებაა, რამდენიმე წლის ფინანსურ შედეგებზე დაყრდნობით.

ფინანსური ანალიზი შესაძლებელია იყოს ორი სახის: შიდასაწარმოო და საწარმოთაშორისი. შიდასაწარმოო ახდენს მოცემული კომპანიის მდგომარეობის ანალიზს, ადარებს გარკვეული პერიოდის მონაცემებს ერთმანეთს, ხოლო საწარმოთაშორისი ახდენს მსგავსი კომპანიების მაჩვენებლების ერთმანეთთან შედარებას. ფინანსური ანგარიშგების შედარების დროს საანგარიშგებო პერიოდის მონაცემები უნდა შედარდეს გეგმიურ მაჩვენებლებთან და გასული პერიოდის მაჩვენებლებთან. შედარებისას მონაცემები აუცილებელია იყოს ერთგვაროვანი და ერთნაირი ხარისხის, როგორცაა: კალენდარული ვადები, ინფლაციის დონე, შეფასების მეთოდი, სამუშაო პირობები და სხვა. რათა მარტივად შედარდეს მონაცემები ერთმანეთს. ეს ყველაფერი დაინტერესებულ პირებს აძლევს საშუალებას, ნახონ შედეგები და ამის მიხედვით გადაწყვიტონ მომავალში განსახორციელებელი გეგმები.

ფინანსური ანალიზის შესწავლა ხდება ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით. ეკონომიკური მაჩვენებელი ესაა ამა თუ იმ მოვლენის რიცხვითი მაჩვენებელი, რაოდენობრივ თუ თვისებრივ მხარეთა ურთიერთკავშირში. ეკონომიკური მაჩვენებლები შეიძლება იყოს რაოდენობრივი, როდესაც მოვლენების გაზომვა ხდება ნატურალურ ერთეულებში, მაგალითად ცალი, კილოგრამი, ასევე შესაძლოა იყოს ღირებულებითი, როდესაც ფულად- ღირებულებითი ფორმით ახასიათებენ. რაოდენობითი და ღირებულებითი მაჩვენებლები შეილება თავის მხრივ იყვნენ, როგორც აბსოლუტური, ასევე ფარდობითი. აბსოლუტური მაჩვენებლები რაოდენობაში, ღირებულებაში ახასიათებენ, მაგალითად 80 ათასი ლარის მზა

პროდუქცია, 20 ათასი ლარის მოგება და სხვა. რაც შეეხება ფარდობით მაჩვენებლებს ასახავენ თვისებრიობის დონეს, ის მიიღება აბსოლუტური მონაცემების შეფარდებით, მაგალითად ნედლეულის ხარჯვის დონე პროდუქციის ერთეულზე (დახარჯული მასალების რაოდენობა შეფარდებული პროდუქციის ერთეულზე).

საწარმოს ეკონომიკური მაჩვენებლები შეიძლება დაიყოს ექვს ძირითად ტიპად:

- ქონებრივი მდგომარეობის შეფასების მაჩვენებელი - ის ახასიათებს საწარმოს ქონების სტრუქტურას, აქტივების და საბრუნავი სახსრების მოცულობას, ძირითადი საშუალებების ასაკობრივ მდგომარეობას;
- ლიკვიდურობის მაჩვენებლები - ახასიათებენ გადახდისუნარიანობის დონეს;
- ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებელი - ახასიათებენ საკუთარი და ნასესხები კაპიტალის თანაფარდობას და საწარმოს ფინანსური დამოუკიდებლობის ხარისხს;
- საქმიანი აქტივობის შეფასების მაჩვენებელი - აფასებენ საწარმოს მოგებას;
- მომგებიანობის შეფასების მაჩვენებელი - ახასიათებენ გამოყენებული რესურსების დონეს;
- ინვესტიციების შეფასების მაჩვენებელი - ახასიათებენ საწარმოს მდგომარეობას ფასიანი ქარაღების ბაზარზე, რადენად დამაინტერესებელია ინვესტორისთვის.

კომპანიის ანალიზისას შესაძლებელია, რომ გამოვიყენოთ სხვადასხვა მიდგომები. ყველა ანალიტიკოს შერჩეული აქვს მათთვის მოსახერხებელი პროცედურა, რომ მარტივად ჩაატარონ ფინანსური ანალიზი კომპანიაში. თვალსაჩინოებისთვის წარმოვადგენ ერთ-ერთ მიდგომას როდესაც ხდება კომპანიის გარე წყაროებით დაფინანსება. პირველ რიგში, ამ დროს უნდა მოხდეს კომპანიის ფინანსური საჭიროებების განსაზღვრა და შემდეგ მოლაპარაკება

კაპიტალის მომწოდებლებთან. ფინანსური საჭიროებების განსაზღვრა ხდება შემდეგი სახით: კომპანიისთვის საჭირო ფონდების საშუალებების ანალიზი, კომპანიის ფინანსური მდგომარეობის და მომგებიანობის ანალიზი, კომპანიის ბიზნესრისკის ანალიზი. ამ სამი ფაქტორის გამოკვლევით იკვლევენ ფინანსურ მდგომარეობას კომპანიაში და კაპიტალის მომწოდებლებს წარუდგენენ თანხების მიზნობრიობას.

იმისათვის რომ საწარმოს ეკონომიკური საქმიანობა გაუმჯობესდეს და ამაღლდეს ეფექტიანობა, აუცილებელია ანალიზის ძირითადი საფეხურების გავლა: მოსამზადებელი ეტაპი, ინფორმაციის ანალიზური დამუშავება და ანალიზის დასკვნები და რეკომენდაციები. პირველ ანუ, მოსამზადებელ ეტაპზე ხდება ანალიზის გეგმის შედგენა და ანალიზისთვის საჭირო ინფორმაციის შეგროვება. მეორე ეტაპზე, ინფორმაციული დამუშავების ეტაპზე, ხდება ფინანსურ ანგარიშებზე თანდართული ახსნა განმარტებების შესწავლა, რათა შესაძლებელი გახდეს შემოწმებული ინფორმაციის დაჯგუფება და გადახრების გამოვლენა. ფინანსური ანალიზის მესამე, დასკვნით ეტაპზე ხდება ჩატარებული ანალიზის საბოლოოდ გადამოწმება და დაზუსტება, შემდეგ კი მომგებიანობის ამაღლებისთვის საჭირო რეკომენდაციების გაცემა. ფინანსური ანგარიშების საფუძველზე ჩატარებული ანალიზი რომ იყოს სრულფასოვანი აუცილებელია აკმაყოფილებდეს ხარისხობრივ მახასიათებლებს, ანუ უნდა იყოს შესაბამისი, აღქმადი, შესადარისი და საიმედო. ანალიზში არ უნდა იყოს მიკერძოება და სუბიექტური აზრები. ანალიზის შედეგების სისწორე დამოკიდებულია კოეფიციენტების სიზუსტეზე. თუ ამ კრიტერიუმებს დააკმაყოფილებს ფინანსური ანალიზი მაშინ შემოთავაზებული რჩევებიც იქნება შედეგის მომტანი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ფინანსური ანალიზის მნიშვნელობა დიდია ორგანიზაციის ნორმალური ფუნქციონირებისთვის, ეს ისეთი საკითხია, რომელსაც საწარმო გვერდს ვერ აუვლის თუ რა თქმა უნდა სურს მიაღწიოს იმ მწვერვალს, რასაც მოგების მაქსიმიზაცია ეწოდება.

1.2. ეკონომიკური ანალიზის მნიშვნელობა და ძირითადი ამოცანები

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ეკონომიკური ანალიზი კომპანიის მართვაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს და მისი გამოყენება აუცილებელია ისეთი კომპანიებისათვის, რომლებიც ცდილობენ მცირე რესურსების გამოყენებით მაქსიმალური მოგების მიღებას. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ყოველთვის მენეჯერებმა შეარჩიონ ალტერნატიური გზები, რაც მაქსიმალურად ახლოს იქნება კომპანიის მიზნის მიღწევასთან. ეკონომიკური ანალიზი იძლევა საშუალებას, რომ კომპანიებმა თავიდან აიცილონ დანაკარგები და შეინარჩუნონ ფინანსური სტაბილურობა.

ეკონომიკური ანალიზის მიზანია კონკრეტული ობიექტის (ორგანიზაციის) შესახებ ეკონომიკურ ჭრილში მისაღები გადაწყვეტილებების, რეკომენდაციების და დასკვნების სისტემატიზირებული გაერთიანება. ეკონომიკური ანალიზი უნდა უზრუნველყოფდეს საწარმოთა პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტური გადაწყვეტილებების მიღებას.

ეკონომიკური ანალიზის ძირითადი ამოცანებია:²

- შიდა და გარე გარემოში არსებული პრობლემების ანალიზი და მისი გამოსწორების გზები;
- ორგანიზაციის შესაძლო გადახდისუნარიობის კვლევა და პროცესებზე დაკვირვება.

ეკონომიკური ანალიზის მიზანია საწარმოს ეკონომიკური საქმიანობის ამსახველ მაჩვენებელთა კვლევა. ეკონომიკაში გამოიყოფა მიკროეკონომიკური და მაკროეკონომიკური ანალიზი. მიკროეკონომიკური ანალიზი შეისწავლის ცალკეული კომპანიების ეკონომიკური განვითარების მიმდინარე მდგომარეობას, ასე რომ შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საწარმოთა ფინანსური ანალიზი

² ლიპარტია, ზ. (2003). ეკონომიკური ანალიზის თეორია. თბილისი.

მიკროეკონომიკურ ანალიზის სფეროს ნაწილია, ხოლო მაკროეკონომიკური ანალიზი შეისწავლის ეკონომიკის განვითარების მიმდინარე პროცესებს სახელმწიფოს და მსოფლიო მაშტაბებით. ფინანსური ანალიზი კი ეკონომიკური ანალიზის შემადგენელი ნაწილია, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია განსაზღვროთ კომპანიაში სად განხორციელდა ცვლილება და რამ გამოიწვია ეს ცვლილება. მისი მთავარი მიზანია გამოავლინოს და გამოიკვლიოს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების ხერხები, რომელიც მომგებიანობას აამაღლებს.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეკონომიკური საქმიანობა მრავალი სახისაა. იგი მოიცავდეს მარკეტინგს, პროდუქციის წარმოებასა და მომსახურებას, პროექტის გაწერას და ასევე საბოლოო ფინანსური შედეგის ანუ მოგების მიღებას. აქედან გამომდინარე შესაძლებელია გამოიყოს ეკონომიკური ანალიზის ამოცანები:³

- ბიზნეს-გეგმის შემუშავების დროს ნორმატივების დასაბუთების ამაღლება;
- ბიზნეს-გეგმების ობიექტური გამოკვლევა;
- რესურსები, რომლის მოხმარებაც არის საჭირო პროექტის განხორციელებისას, მათი შედეგიანობის წინასწარკვლევა;
- კონტროლი ფინანსური შედეგების მიღებაზე;
- საწარმოს შიდა რეზერვების გამოკვლევა და გამოვლენა;
- მმართველობითი გადაწყვეტილებების მუდმივი ანალიზი და კონტროლი.

ეკონომიკური ანალიზი მისი ამოცანებიდან გამომდინარე უნდა მოიცავდეს უტყუარ, ობიექტურ ინორმაციას, რათა შესაბამისმა რგოლმა მოახდინოს

³ჯიქია, მ., ჩეჩელაშვილი, რ., ბურდული, ფ., (2010). ეკონომიკური ანალიზი. თბილისი: მერიდიანი.

მართებული გადაწყვეტილებების მიღება. აუცილებელია ხაზგასმით იყოს ჩამოყალიბებული ყველა საკითხი რომელიც უნდა გადაიჭრას.

ეკონომიკური ანალიზის დროს აუცილებელია პრინციპების დაცვა, რათა ანალიზმა მოგვცეს შედეგი. ეს პრინციპები შესაძლებელია იყოს, ობიექტურობა, კომპლექსურობა, რეგულარულობა, ეკონომიურობა ანუ ანალიზზე გასაწევი სახსრები უნდა შეესაბამებოდეს მისაღებ ეფექტს სხვა შემთხვევაში მნიშვნელობას კარგავს.

1.3. ფინანსური მდგომარეობის ადგილი ფინანსურ ანალიზში

კომპანიის ფინანსური სტაბილურობა და მისი ანალიზი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. საწარმო ფინანსურად სტაბილური იქნება თუ შეინარჩუნებს ზღვარს გადაწყვეტილების მიღებისას ანუ განსაზღვრული რისკების დანახარჯი არ შეიძლება აღემატებოდეს კონკრეტული გადაწყვეტილების მომგებიანობას. ფინანსური მდგრადობა გულისხმობს გრძელვადიანი განვითარებისთვის მიზნების წინასწარ განსაზღვრას. იმისათვის, რომ საწარმომ შეინარჩუნოს სტაბილურობა აუცილებელია ფინანსური რისკების წინასწარ განსაზღვრა.

საწარმოს ფინანსურ მდგრადობას განსაზღვრავს საწარმოს მფლობელობაში არსებული ფინანსური რესურსები, მისი სტრუქტურა, ლიკვიდურობა და გადახდისუნარიანობა. ეს ინფორმაციები საშუალებას გვაძლევს განისაზღვროს მომავალში ფინანსური მდგრადობა და სტაბილურობა. საბაზრო ეკონომიკის პირობებში კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას განაპირობებს რესურსების სწორად მართვა, ანუ რაც შეიძლება დაბალი დანახარჯებით მოხდეს მათი გარდაქმნა მატერიალურ და შრომით რესურსებად. აღნიშნული საკითხების გადაჭრაში დიდი მნიშვნელობა აქვს ფინანსური ანალიზის სწორ დასკვნას.

ფინანსური მდგრადობა ორგანიზაციის მოცემული მომენტისთვის არსებული საინვესტიციო და საოპერაციო საქმიანობის ერთობლიობაა, რომელიც გამოხატავს საწარმოს რესურსების რაოდენობას. ფინანსური მდგომარეობა ეს არის საწარმოს შესაძლებლობა დააფინანსოს საკუთარი საქმიანობა. აქედან გამომდინარე, საწარმოს ფინანსური მდგომარეობა ხასიათდება ქონებრივი მდგომარეობის მაჩვენებლით, გადახდისუნარიანობისა და ლიკვიდურობის მაჩვენებლით, ფინანსური მდგრადობით, საქმიანი აქტივობის შეფასებით და ბალანსის ანალიზით.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობა შესაძლებელია შეფასდეს, როგორც:

- მდგრადი;
- არამდგრადი;
- კრიზისული.

განვიხილოთ თითოეული, თუკი საწარმოს აქვს შესაძლებლობა და უნარი დროულად დაფაროს ვალდებულებები, დააფინანსოს მიმდინარე საქმიანობა ეს ნიშნავს, რომ მდგრადი ფინანსური მდგომარეობა ახასიათებს. საწარმო არამდგრად ან კრიზისულ მდგომარეობაშია, თუ მას არ აქვს უნარი შეასრულოს ვალდებულებები და დააფინანსოს საწარმოს მიმდინარე პროექტები. საწარმოს ფინანსური მდგრადობა დამოკიდებულია მის კომერციულ და ფინანსურ საქმიანობაზე, ანუ რამდენად წარმატებით სრულდება პროდუქციის რეალიზაციის გეგმები. თუ საწარმოო გეგმები არ შესრულდება, ამონაგები შემცირდება და ეს გამოიწვევს ორგანიზაციის კრიზისს. ფინანსური მდგრადობის სიმყარეზე მოქმედებს, ასევე ბიზნეს გეგმით განსაზღვრული, საწარმოს დასახული მიზნების შესრულება. დღევანდელი ეკონომიკის პირობებში კრიზისების თავიდან ასაცილებლად საჭიროა ფინანსური რესურსების სწორი ფორმულირება. მანამ სანამ კომპანია გახდება გადახდისუნარო მას უსწრებს სამი ეტაპი. პირველ ეტაპზე ფინანსური არამდგრადობა შეიმჩნევა თუმცა დასაშვებად ითვლება და შესაძლებელია მისი გამოსწორება. მეორე ეტაპზე არასტაბილურია და დასაშვებზე მეტად არამდგრადია კომპანია, საქმიანი აქტივობის მაჩვენებელიც დაბალია. ხოლო

ბოლო მესამე ეტაპზე უკვე საწარმოს აღარ შესწევს უნარი შეასრულოს საკუთარი ფინანსური ვალდებულებები რაც უკვე იწვევს გაკოტრებას. თუ ორგანიზაციის მენეჯერი შეამჩნევს მოცემულ სტადიებს მან უნდა შეადგინოს ისეთი ფინანსური გეგმა, რომელიც კრიზისიდან გამოიყვანს კომპანიას.

ფინანსური ანალიზის ჩატარების შემდეგ შესაძლებელია ისეთი საკითხების გადაჭრა რომელმაც შესაძლოა ფინანსური მდგრადობა ექვემდებარება დააყენოს. ფინანსური ანალიზი საშუალებას გვაძლევს განისაზღვროს მოცემულ მომენტში ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობა და გამოსწორების გზები დაისახოს, ანალიზის მონაცემებზე დაყრდნობით. ფინანსური მდგომარეობის შესასწავლად უნდა გამოვიყენოთ ისეთი საკითხები როგორცაა: მომგებიანობა, გადახდისუნარიანობა, ლიკვიდურობა, მდგრადობა და საწარმოს ფუნქციონირების სამეურნეო- საფინანსო პერსპექტივები.

ფინანსური მდგრადობის ანალიზის ამოცანებია:

- ფინანსური მდგომარეობის საერთო დონის შეფასება და ბალანსის განსაზღვრა;
- მიმდინარე საქმიანობისთვის, თვითდაფინანსების შეფასება;
- დაფინანსების წყაროების სტრუქტურის შესწავლა;
- ნასესხებ წყაროებზე დამოკიდებულების ხარისხის განსაზღვრა;
- მიმდინარე საქმიანობების რისკის ხარისხის შეფასება.

ფინანსური საქმიანობის მთავარი მიზანია განისაზღვროს სად, როგორ, რა რაოდენობით და როდის გამოიყენონ ფინანსური რესურსები, რათა მოხდეს მაქსიმალური მოგების მიღება. თუ ამ ყველაფერს ზუსტად განსაზღვრავს რა თქმა უნდა ამით ხელი შეეწყობა ფინანსურ სტაბილურობას. ფინანსური სტაბილურობის ანალიზის დროს ფინანსური ანალიზის განყოფილებების ყოველი დონე უნდა ახდენდეს დაკისრებული, განსაზღვრული პრობლემების გადაწყვეტას რათა ორგანიზაციამ მაქსიმალურად შეინარჩუნოს მდგრადობა და განვითარდეს.

ფინანსური მდგრადობა ეს არის ორგანიზაციის მდგომარეობა, რომელიც გარანტირებულად უზრუნველყოფს მათ გადახდისუნარიანობას. თუ ორგანიზაცია ფინანსურად მდგრადია, ეს ნიშნავს რომ თვითონ შეუძლია დააბანდოს ინვესტიციები ახალ აქტივებში და კონტრაქტებში მითითებულ ვადებში შეძლოს გადაიხადოს კრედიტორული ვალდებულებები. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასება მნიშვნელოვანია, შეფასების ერთერთი მთავარი კომპონენტია ფინანსური მდგრადობის შეფასება, ამისათვის კი სავალდებულოა გარკვეული ეტაპების გავლს:

- ფინანსური მდგრადობის შეფარდებითი და აბსოლუტური მაჩვენებლების გაანგარიშება;
- ორგანიზაციის შიგა და გარე გარემოთა გამოვლენა და მათი რაოდენობრივი და ხარისხობრივი შედეგების შეფასება;
- მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღება, რათა გაუმჯობესდეს ორგანიზაციის ფინანსური მდგრადობა.

საწარმოს ფინანსური მდგრადობის ანალიზისთვის გამოიყენება გაურკვეველ მაჩვენებელთა კოეფიციენტები:

- საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი- ეს გვიჩვენებს საკუთარი კაპიტალის ხვედრით წილს მთლიან აქტივებში;
- მოზიდული კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი გვიჩვენებს ნასესხები კაპიტალის ხვედრით წილს მთლიან აქტივებში;
- საკუთარი და მოზიდული სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი, გაიანგარიშება, როგორც საკუთარი კაპიტალის წილის თანაფარდობა მოზიდულ კაპიტალთან. თუ საკუთარი კაპიტალი მოზიდულზე მეტია ეს ნიშნავს რომ ორგანიზაცია ფინანსურად მდგრადია.
- საკუთარი კაპიტალის ბრუნვის კოეფიციენტი ახასიათებს მიმდინარე საქმიანობის დაფინანსებაში რა წილი უკავია საკუთარ კაპიტალს.

საწარმოს ფინანსურ მდგრადობაზე გავლენას ახდენს მრავალი ფაქტორი. ფაქტორები შეიძლება იყოს: შინაგანი და გარეგანი, ძირითადი და მეორე ხარისხოვანი, მუდმივი და დროებითი, მარტივი და რთული.

შინაგან ფაქტორებს მიეკუთვნება:

- ❖ აქტივების ბრუნვალობა;
- ❖ რესურსების თანაფარდობა;
- ❖ პროდუქციის და მომსახურების სტრუქტურა;
- ❖ ცვლადი და მუდმივი ხარჯების სიდიდე და ფარდობა მოსალოდნელ ფულას შემოსავლებთან.

რაც შეეხება გარე ფაქტორებს მას შეიძლება მივაკუთვნოთ:

- ❖ სახელმწიფოს საკრედიტო და საგადასახადო პოლიტიკა;
- ❖ ფინანსური ბაზრის განვითარების ხარისხი;
- ❖ სადაზღვევო საქმის განვითარების დონე;
- ❖ საგარეო ეკონომიკის განვითარება;
- ❖ ვალუტის კურსის ცვლილება;
- ❖ მთლიანი ეკონომიკური სტაბილურობა.

მიუხედავად ფაქტორთა სიმრავლისა ყველაზე დიდი მნიშვნელობა ანალიზისას ენიჭება შინაგან ფაქტორებს, რადგან მასზე დამოკიდებულია საწარმოს საქმიანობა. თუმცა გარეგანი ფაქტორებიც საყურადღებოა, რადგან თუ ზოგად ბაზარზე არაა სიტუაცია მყარი, საწარმო გამოშვებული პროდუქციის რეალიზებას ვერ მოახდენს და ეს იმოქმედებს მის ფინანსურ მდგრადობაზე. გარეგანი ფაქტორებიდან ყველაზე დიდი მნიშვნელობის მატარებელია სახელმწიფო პოლიტიკა და ბერკეტები, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფო არეგულირებს ბაზარს.

ორგანიზაციის ფინანსური ანალიზის მიზანია შეფასდეს ობიექტურად და ზუსტად მიმდინარე მდგომარეობა.

თავი მეორე. კომპანიის ფინანსური მდგრადობის დიაგნოსტიკა და მასზე მოქმედი ფაქტორები.

2.1. კომპანიის ფინანსური მდგრადობის არსი და პრობლემები.

კომპანიები დაფუძნების მომენტიდან მრავალი პრობლემის წინაშე დგანან. პრობლემების წარმომოშვება ხდება ეკონომიკაში არსებული კრიზისებიდან გამომდინარე. მიმდინარე მდგომარეობები აუარესებს ან აუმჯობესებს ისეთ მაჩვენებლებს როგორცაა: ⁴

- ❖ ლიკვიდობა;
- ❖ გადახდისუნარიანობა;
- ❖ რენტაბელურობა;
- ❖ საბრუნავ საშუალებათა ბრუნვადობა;
- ❖ ფინანსური მდგრადობა.

კომპანიის წარმატება ან წარუმატებლობა დამოკიდებულია მის ფინანსურ შესაძლებლობებზე. თუ კომპანია მდგრადია ეს ნიშნავს, რომ ის წარმატებულია ბაზარზე და ახდენს მოგების მაქსიმიზაციას. ფინანსურ მდგრადობა დამოკიდებულია რესურსებზე, როგორც მატერიალურ ასევე შრომითზე. ფინანსური მდგომარეობის დასადგენად აუცილებელია ფინანსური ანალიზი, რომელიც უნდა იყოს უტყუარი. საწარმოს მომავალი განვითარების გეგმის დასახვაში უდიდესი ადგილი აქვს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზს.

ბაზარზე მიმდინარე მწვავე კონკურენციის შედეგად მიმდინარე მოვლენებმა შეიძლება გამოიწვიოს საწარმოს გადახდისუნარიანობის საქმის წარმოება. ორგანიზაციას კრიზისი შესაძებელია შეექმნას სასიცოცხლო ციკლის ნებისმიერ

⁴ დარსაველიძე, ნ. (2012) "ეკონომიკური მდგრადობის შეფასება სატრანსპორტო და მანქანათმშენებელი ფირმების ანტიკრიზისულ მართვაში". თბილისი

ეტაპზე. თუმცა თუ საწარმო არის ეკონომიკურად მდგრადი ის ყველა კრიზისის მარტივად გადალახავს.

კრიზისები ფინანსურ სისტემაში იწვევს პრობლემებს, ერთ-ერთი ასეთი მოვლენაა გადახდისუუნარობა. გადახდისუუნარობა ესაა ფინანსური კრაზი, რასაც იწვევს არამდგრადობა. თუ საწარმოს არ გააჩნია შესაძლებლობა, დააბრუნოს ვალდებულებები და დააფინანსოს მიმდინარე პროექტები ის შესაძლებელია გამოცხადდეს გადახდისუუნაროდ. გადახდისუუნარობა ეს იურიდიული მოვლენაა, რომელიც რეგულირდება კანონით „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“. კომპანიას გადახდისუუნაროდ ცნობს სასამართლო.

გადახდისუუნარობას წინ უსწრებს რამდენიმე ეტაპი:

ფარული სტადია - ამ დროს ორგანიზაცია ფინანსურად არამდგრადია თუმცა შესაძლებელია, შესაძლებელია ნორმალური დონის შენარჩუნება. ორგანიზაცია ამ ეტაპზეა თუ მარაგებისთვის საჭირო კრედიტების რაოდენობა არ აღემატება ნედლეულის და მასალების ღირებულებას. შემდეგი ეტაპია ფინანსური არასტაბილურობა - ამ დროს ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობა ხასიათდება, როგორც ძალიან მძიმე. ბოლო ეტაპი კი არის გადახდისუუნარობის სტადია, ამ დროს კომპანიას არ შესწევს უნარი გადაიხადოს საკუთარი ვალდებულებები.

აღნიშნული ეტაპების გათვალისწინებით შესაძლებელია გადახდისუუნარობის წინასწარი განჭვრეტა, რისთვისაც აუცილებელია სწორი ქმედება, რათა თავი აარიდოს ორგანიზაციამ, საქმიანობაში არსებულ ფარულ უარყოფით მოვლენებს. იმისათვის რომ ორგანიზაცია იყოს ფინანსურად მდგრადი, აუცილებელია სწორი ფინანსური დაგეგმვა. ფინანსური დაგეგმვა მოიცავს: ფინანსური გეგმის შედგენა, მისი რეალიზება და კორექტირება მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით.

2.2. ფინანსური მდგრადობის შეფასება და გაუმჯობესების მიმართულებები.

ფინანსური მდგრადობა არის საწარმოს წარმატების წინაპირობა. კომპანიები უნდა იყვნენ კონკურენტუნარიანი და უნდა შეეძლოთ შესაბამისი ხარჯების თავზე აღება, რათა არ აღმოჩნდნენ კრიზისულ მდგომარეობაში. საწარმო არის რთული ორგანიზაცია, რომელიც შედგება პარტნიორთა ჯგუფებისაგან და ისინი იმყოფებიან ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში, იმისათვის რომ საწარმო იყოს ეკონომიკურად მდგრადი აუცილებელია ამ ჯგუფების დაგეგმილად ფუნქციონირება. პარტნიორთა ჯგუფები, მათი მისწრაფებები და მოთხოვნები, მოცემულია ქვემოთ. აუცილებელია ვიცოდეთ და გავითვალისწინოთ რომ ერთი რგოლის გაუმართავად მუშაობა იწვევს მთელი სისტემის ჩამოშლას.

სისტემა აწყობილია პარტნიორთა ჯგუფის შენატანებზე, ინტერესებზე და მოთხოვნებზე დაყრდნობით. სისტემის ყველა რგოლს გააჩნია საკუთარი მოთხოვნა საწარმოს მიმართ. პარტნიორთა ჯგუფები ანუ დაინტერესებული პირები არიან: მმართველები, მფლობელები, ინვესტორები, დასაქმებულები, მსესხებლები, საგადასახადო ორგანო, მომწოდებელი და მომხმარებლები. ამ სისტემის წევრებს გააჩნიათ საკუთარი შენატანი, ზოგს მატერიალური სახით და ზოგიერთს კი თავისი შრომით შეაქვს წვლილი. რა თქმა უნდა ამ ჯგუფებს ყველას გარდა შენატანისა აქვს მოთხოვნები საწარმოს მიმართ, რომელიც არის : მოგება, ხელფასი, გადასახადების გადახდა, სახელშეკრულებო ფასი, ბოსუსები და პროცენტები.

საბაზრო სისტემაში ორგანიზაციის წარუმატებლობა ჩვეულებრივი მოვლენაა, ახლად დაფუძნებული საწარმო შესაძლებელია არ მიიღოს ბაზარმა და შესაბამისად ვერ გააგრძელებს ფუნქციონირებას. წამგებიანი ფირმები კოტრდებიან და ადგილი ეთმობათ მომგებიან საწარმოებს. მეწარმეებსაც აქვთ გააზრებული, რომ ბიზნესის კრახის ალბათობა საბაზრო სისტემის განუყოფელი ნაწილია, რომელსაც გვერდს ვერ აუვლიან. უცხოური სტატისტიკაც გვიჩვენებს, რომ ბიზნესის ყოველი ახალი

წამოწყების 75% განიცდის წარუმატებლობას. საწარმოთა ფუნქციონირება ხდება სამი ძირითადი ელემენტის მეშვეობით:

- საქმიანობის მიზნები - ამ ელემენტით განისაზღვრება რისი მიღწევა სურს საწარმოს, თუ მიზანი რომელსაც დაისახავს იქნება ყველასთვის მკაფიო და გასაგები, ორგანიზაციის განვითარებას მნიშვნელოვნად დაეხმარება;
- შინაგანი ცვლადები - ორგანიზაციის შიგნით არსებული ფაქტორები, ეს შეიძლება იყოს პერსონალი, ტექნოლოგიები, ფინანსები და სხვა;
- გარე სფერო - ორგანიზაციაზე მოქმედი გარე ფაქტორები, რომელსაც დიდი გავლენა აქვს საწარმოზე.

ორგანიზაციების მდგრადობა მიიღწევა ამ სამი ელემენტის ოპტიმალური მართვით. საბაზრო ეკონომიკის პირობებში საზოგადოების მოთხოვნების დაკმაყოფილება ესაა ნებისმიერი საწარმოს საზოგადოებრივი მიზანი, რომელიც განაპირობებს მოგების მაქსიმიზაციას. საწარმოს ფინანსურად მდგრადი არის იმ შემთხვევაში თუ ეკონომიკური სისტემის ელემენტების რაოდენობა, ხარისხი და მათი ერთმანეთთან ურთიერთქმედება არის გამართული.

ორგანიზაციის დაარსების მომენტიდან წარუმატებლობის და წარმატების პროცესები ხდება ჯაჭვისებურად, რომელიც თანდათან აღწევს საწარმოს საქმიანობის სხვადასხვა სფეროში. საწარმოს ნორმალური ფუნქციონირებიდან გაკოტრების სტადიაზე გადასვა ხდება ეტაპობრივად, სამ ნაწილად:

დაავადების წინა პერიოდი - ამ დროს შეინიშნება მნიშვნელოვანი პარამეტრების დარღვევა. ბაზარზე წარმოდგენილი წილის დაკარგვა, პროდუქციის რეალიზაციის შემცირება, საწარმოს ტექნიკურ და ტექნოლოგიურ უზრუნველყოფაში არსებული პრობლემები. ამ დროს საწარმო ეკონომიკურად არამდგრადია, გადახდისუნარიანობის მაჩვენებელი მცირდება სწრაფი ტემპებით.

საწარმოს დაავადება - ამ დროს ბაზარზე გამოშვებული პროდუქციის წარუმატებლობა მაღალია, ასევე პრობლემებია საწარმოო ფონდების, ნედლეულით,

მასალებით, შრომითი რესურსებით უზრუნველყოფაში. ხდება არსებული რესურსების არაეფექტურად გამოყენება. ფინანსური მდგომარეობა რთულია, ფინანსური სახსრები იჭურება, ასევე არაა ჩადებული კაპიტალის უკუგება.

საწარმოს კრიზისი - მაჩვენებლების მნიშვნელობა აღწევს კრიტიკულ ზღვარს. ამ დროს სახეზეა გარდაუვალი ზარალიანობა. ფინანსური არამდგრადობის ბოლო სტადიაა, ეს კი ნიშნავს, რომ ორგანიზაციას არ აქვს უნარი გადაიხადოს კრედიტორული დავალიანებები.

ორგანიზაცია როდესაც მიაღწევს ამ ბოლო სტადიას, როდესაც აღარ შესწევს უნარი გადაიხადოს ვალდებულებები ამ დროს ყველა პრობლემა თავს იყრის ორგანიზაციაში. ამ დროს უკვე საწარმო თავს ვეღარ ართმევს პრობლემებს და გადადის საბაზრო ეკონომიკის მიერ გაწერილ მექანიზმებზე. ეს მექანიზმები მათ ვალდებულს ხდის იფუნქციონირონ სანამ წარმოშობილ ვალდებულებებს არ დაფარავენ. დამამთვრებელი ქმედება კი იურიდიულად უნდა დადასტურდეს, მიღებული აქტებით და გამოცხადდეს საწარმო გადახდისუუნაროდ. ორგანიზაციების წარუმატებლობის ეს ეტაპები არ არის ზუსტად გაწერილი კონკრეტულ დროში, რადგან ყველა სტადია სხვადასხვა საწარმოებზე სხვადასხვა სპეციფიკით ხასიათდება. მაგალითად, რიგი საწარმოებისათვის მეორე ეტაპი შეიძლება დაიწყოს პრაქტიკულად პირველი ეტაპის პარალელურად, და ზოგან კი ეს შესაძლებელია გაგრძელდეს წლები ან თვეები.

საწარმოს ფინანსურ მდგრადობაზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას, რომელთა დაჯგუფება შესაძლებელია შიდა და გარე ფაქტორებად.

შიდა ფაქტორებს მიეკუთვნება:

- აქტივების მდგომარეობა;
- ფინანსური რესურსების შემადგენილობა და თანაფარდობა;
- გამოშვებული პროდუქციის სტრუქტურა;
- ხარჯების სიდიდე;
- მისი დინამიკა ფულად შემოსავლებთან მიმართებაში.

გარე ფაქტორებს კი მიეკუთვნება:

- საქელმწიფო;
- საგადასახადო და საკრედიტო პოლიტიკა;
- ფინანსური ბაზრის;
- სადაზღვევო საქმის და საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარების ხარისხი;
- მომხმარებელთა შემოსავლების დონე;
- ვალუტის კურსის ცვლილება;
- საერთო ეკონომიკური სტაბილურობა.

საწარმოს ფინანსური მდგრადობის მიხედვით განასხვავებენ შემდეგ ტიპებს:

- აბსოლუტურად მდგრადი ფინანსური მდგომარეობა;
- ნორმალურად მდგრადი ფინანსური მდგომარეობა;
- არამდგრადი ფინანსური მდგომარეობა;
- კრიზისული (კრიტიკული) ფინანსური მდგომარეობა.

აბსოლუტურად მდგრადი ფინანსური მდგომარეობა დროს ორგანიზაცია მომგებიანობით ხასიათდება. ამ დროს მარაგები და დანახარჯები საკუთარი საბრუნავი სახსრებით მთლიანადაა უზრუნველყოფილი, რაც ასეთი უტოლობით გამოიხატება:

მატერიალური მარაგები < საკუთარ საბრუნავ სახსრებზე.

ეს თანაფარდობა ხშირი არაა და იდეალურადაც არ შეიძლება მივიჩნიოთ მიუხედავად იმისა, რომ აბსოლუტურად მდგრადი ფინანსური მდგომარეობის დროს მიიღწევა. ეს მიუთითებს, რომ საწარმოს არ შესწევს უნარი და არც სურს გამოიყენოს მოზიდული სახსრები, მიიღოს ინვესტიციები, ეს კი საბოლოოდ ხელს შეუშლის საწარმოს განვითარებას და წინსვლას. საერთაშორისო პრაქტიკა აღიარებს რომ საუკეთესოა, როდესაც საბრუნავი სახსრების წილი მატერიალურ ფასეულობებში 50%-ია. ეს ნიშნავს რომ მოზიდული და საკუთარი სახსრები თანაბრადაა.

ნორმალურად მდგრადი ფინანსური მდგომარეობის საწარმო გადახდისუნარიანია, მატერიალური მარაგებისა და ხარჯების დაფარვა საკუთარი საბრუნავი სახსრებითა და მოზიდული სახსრებით ხდება. ამ შემთხვევაში საკუთარ და მოზიდულ სახსრებს შორის მისაღები თანაფარდობა არსებობს. მარაგების ფორმირების ნორმალური წყაროების ქვეშ იგულისხმება საკუთარი საბრუნავი სახსრების, მოკლევადიანი სესხების, კრედიტორული დავალიანებებისა და მიღებული ავანსების ერთობლიობა.

არამდგრადი ფინანსური მდგომარეობის დროს ბალანსი დარღვეულია, თუმცა შესაძლებელია მოზიდული სახსრების დახმარებით მდგომარეობის დასტაბილურება. ამ დროს ორგანიზაცია რებს ყველა სახის სესხს, რომ მარაგები შეიძინოს და ფუნქციონირება არ შეწყვიტოს.

მატერიალური მარაგები > მარაგების დაფინანსების „ნორმალური წყაროები“.

კრიზისული (კრიტიკული) ფინანსური მდგომარეობის დროს საწარმო გაკოტრების ზღვარზეა, მარაგების ფორმირება ვერ ხდება, რადგან ვერ ხერხდება ფინანსური სახსრების მოძიება. საწარმოს აქვს ვადაგადაცილებული ვალდებულებები. კრიზისული ფინანსური მდგომარეობის დროს საწარმო მთლიანად დამოკიდებულია დაფინანსების მოზიდულ წყაროებზე, თუმცადა მოზიდული წყაროების მოძიებაც რთულია და შეუძლებელი, რადგან ყველა ორიენტირებულია ინვესტიცია დააბანდოს ფინანსურად მდგრად საწარმოში. თუ კრიზისული მდგომარეობას თავს დააღწევს საწარმო, თუმცა მალევე განმეორდება, შესაძლებელია უკვე გადახდისუნარობის საქმის წარმოება დაიწყოს.

2.3. კომპანიის ფინანსური მდგრადობის კოეფიციენტების შეფასება

კომპანიის მდგრადობის შეფასებისას არაა საკმარისი მხოლოდ ზოგადი ანალიზი, აუცილებელია ანალიზისას გამოვიყენოთ დეტალური კვლევა. ფინანსური ანალიზის ერთ-ერთი გავრცელებული მეთოდია კოეფიციენტების მეთოდი. მისი მიზანია კოეფიციენტების გამოთვლა და მის საფუძველზე ფაქტიური მნიშვნელობების შედარება ნორმატიულთან. ეს კი საშუალებას მოგვცემს ვიმსჯელოთ საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ცალკეულ ასპექტებზე.

ფინანსური კოეფიციენტი - ინდექსი, რომელიც აკავშირებს ორი ბუღალტრული ანგარიშგების რიცხვს და მიიღება ერთის მეორეზე გაყოფით. კოეფიციენტების გამოყენება აუცილებელია რადგან მხოლოდ საწყისი მონაცემების საფუძველზე ვერ გაკეთდება დასკვნები. მაგალითად კომპანიის მოგება გასულ წელს იყო მილიონი ლარი, ეს კარგი მაჩვენებელია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ რომ ინვესტირება იყო 100 მილიონი ამ შემთხვევაში საჭირო იქნება კოეფიციენტის გამოთვლა, რომ დადგინდეს მოგების მარჯა თითოეულ ინვესტირებულ აქტივზე. ასევე თვალსაჩინო იქნება თუ ვიტყვით კომპანიის მოგებამ მიაღწია 100 ათასს, ცალსახად თუ შევხედავთ შესაძლებელია შედეგი მოვიწონოთ, მაგრამ თუ წინა წლის მოგებას გავითვალისწინებთ, რომელიც 200 ათასი იყო შედეგი იქნება ცუდი, ანუ მოგება წინა წელთან შედარებით 2-ჯერ შემცირდა.

ეკონომისტები ფინანსური მაჩვენებლების დაჯგუფებას ძირითადად ექვს ძირითად ტიპად ახდენენ:⁵

- ✓ ქონებრივი მდგომარეობის შეფასების მაჩვენებელი;
- ✓ ლიკვიდურობის მაჩვენებელი;
- ✓ ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებელი;
- ✓ საქმიანი აქტივობის შედასების მაჩვენებელი;

⁵ ჭილაძე ი., „ფინანსური ანალიზი“ (ფინანსური ანგარიშგების ანალიზი), მესამე გადამუშავებული გამოცემა, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი 2018;

- ✓ მომგებიანობის შეფასების მაჩვენებელი;
- ✓ ინვესტიციების შეფასების მაჩვენებელი.

ფინანსური კოეფიციენტების ანალიზი მოიცავს შედარების ორ ტიპს:

- შიდა შედარებები;
- გარე შედარებები.

შიდა შედარებები ესაა კომპანიაში მიმდინარე შიდა შედეგებზე დაყრდნობით ანალიზის გაკეთება. ანალიტიკოსს შეუძლია ახლანდელი კოეფიციენტი შეადაროს იმავე კომპანიის წარსულ კოეფიციენტს, ამ დროს ანალიტიკოსს შეუძლია შეისწავლოს დინამიკა, უმჯობესდება თუ უარესდება საწარმოს მდგომარეობა. ამ შედარებაზე დაყრდნობით მენეჯერებს შეუძლიათ დაგეგმონ მომავალი მიზნები. რაც შეეხება გარე შედარებას ეს მეთოდი მოიცავს ერთი კომანიის მონაცემების შედარებას მსგავსი ინდუსტრიის საშუალო კოეფიციენტებთან დროის ერთსა და იმავე მომენტში. ამ დროს სხვადასხვა კომპანიის სხვადასხვა მონაცემები ედარდება ერთმანეთს. ეს საჭიროა ბაზრის შესასწავლად რომ კონკურენტებზე უპირატესობა მოვიპოვოთ. მაგალითად თუ ჩვენი მოგება ბევრად ნაკლებია ვიდრე ჩვენი კონკურენტის აუცილებელია დაიგეგმოს სხვადასხვა ღონისძიებები, რომ შემცირდეს კოეფიციენტი.

გარე და შიდა შედარებები ხდება კოეფიციენტების საშუალებით. საზოგადოდ, გამოიყენება ორი ტიპის კოეფიციენტი. პირველი იძლევა ინფორმაციას კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, დროის განსაზღვრულ მომენტში, ბალანსის შედგენისას. მას ეწოდება ბალანსურ ფინანსური კოეფიციენტები, რადგან მისი მრიცხველი და მნიშვნელი აღებულია მთლიანად ბალანსის უწყისიდან. მეორე ტიპი იძლევა ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის რაიმე ასპექტებზე, გარკვეული დროის პერიოდში, ასეთ კოეფიციენტებს ეწოდებათ შემოსავლების ანგარიშგების კოეფიციენტები.

შესაძლებელია გამოიყოს კოეფიციენტების სხვადასხვა ჯგუფები:

- ლიკვიდურობის;

- ფინანსური ლევერიჯის;
- დაფარვის კოეფიციენტი;
- აქტიურობის კოეფიციენტი;
- მომგებიანობის.

ნაწილი მიეკუთვნება ბალანსურ ფინანსურ კოეფიციენტებს და ნაწილი შემოსავლების ანგარიშების კოეფიციენტებს. მაგალითად, ბალანსის ნაწილს ეკუთვნის ლიკვიდურობის და ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტები, ხოლო შემოსავლების ანგარიშგებას, დაფარვის კოეფიციენტი, აქტიურობის კოეფიციენტი, მომგებიანობის კოეფიციენტი.

ლიკვიდურობის კოეფიციენტი გამოიყენება კომპანიის უანრის გასაზომად რამდენად სწრაფად შეუძლია მოკლევადიანი ვალდებულებების დაფარვა. ის მოკლევადიან აქტივებს ადარებს მოკლევადიან ვალდებულებებს.

ფინანსური ლევერიჯი - ესაა ვალის სააქციო კაპიტალთან დამოკიდებულების კოეფიციენტი. ამის დასადგენად მთლიანი ვალი ეფარდება სააქციო კაპიტალს.

დაფარვის კოეფიციენტი გამოიყენება კომპანიის ფინანსური ვალდებულებების შედარებისთვის მათი მომსახურების და დაფარვის გადახდისუნარიანობასთან. გამოითვლება მოგება კრედიტის ხარჯამდე და გადასახადის გადახდამდე შეფარდებული კრედიტის ხარჯთან, რაც მაღალია კოეფიციენტი მით მაღალია ალბათობა იმისა რომ კომპანია კრიზისულ მდგომარეობაში არ აღმოჩნდება.

აქტიურობის კოეფიციენტი გამოსახავს რამდენად ეფექტიანად იყენებს კომპანია არსებულ აქტივებს.

მომგებიანობის კოეფიციენტი - ეს არის ორი სახის. ერთი ასახავს მომგებიანობას გაყიდვასთან დამოკიდებულებაში და მეორე ასახავს მომგებიანობას ინვესტიციებთან დამოკიდებულებაში.

ფინანსური მდგრადობის ანალიზისთვის და სპეციალური ეკონომიკური ლიტერატურით შემოთავაზებულია ფინანსური კოეფიციენტების შემდეგი ჯგუფები:

- საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი;
- ნასესხები სახსრების კონცენტრაციის კოეფიციენტი;
- სახსრების მობილურობის კოეფიციენტი;
- საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი;
- საკუთარი და ნასესხები სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი;
- ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი;
- ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი;
- გრძელვადიან დაბანდებათა სტრუქტურის კოეფიციენტი;
- ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი;
- სახსრების მანევრირების კოეფიციენტი.

მოცემული კოეფიციენტების თვალსაჩინოდ წარმოსადგენად, გამოვიყენებ ერთ-ერთი კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მონაცემებს.

ცხრილში წარმოდგენილია საქართველოს ბაზარზე მოქმედი ერთ-ერთი კომპანიის მონაცემების საფუძველზე გაანგარიშებული კოეფიციენტები. კომპანია აწარმოებს პურ-ფუნთუშეულს საწარმო ტერიტორიულად მდებარეობს დასავლეთ საქართველოში. 2015 წლიდან დაიწყო ფუნქციონირება ბაზარზე და ინარჩუნებს სტაბილურობას.

N	მაჩვენებლები	2017 წ. (ათასი ლარი)	2018 წ. (ათასი ლარი)	2019 წ. (ათასი ლარი)	ცვლილება	
					2018 წ.	2019 წ.
1	აქტივები (ათასი ლარი)	37,5	45,42	49,429	7,92	4,009
2	გრძელვადიანი აქტივები (ათასი ლარი)	23,15	30,316	36,950	7,166	6,634
3	მიმდინარე აქტივები (ათასი ლარი)	14,35	15,104	12,479	0,754	-2,625
4	საკუთარი კაპიტალი (ათასი ლარი)	18,981	23,022	25,752	4,041	2,73
5	გრძელვადიანი ვალდებულე ბები (ათასი ლარი)	14,211	12,359	21,444	-1,852	-9,085
6	მიმდინარე ვალდებულე- ბები (ათასი ლარი)	7,981	12,039	8,233	4,058	-3,806
7	საკუთარი საბრუნავი სახსრები (ათასი ლარი)	7,161	6,065	8,246	-1,096	2,181
8	საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის	18,981/37,5 = 0,506	23,022/45,4 2= 0,507	25,752/49,42 9=0,521	0,001	0,014

	კოეფიციენტი					
9	ნასესხები სახსრების კონცენტრაციის კოეფიციენტი	$(14,211+7,981)/37,5=0,592$	$(12,359+12,039)/45,42=0,537$	$(21,444+8,233)/49,429=0,600$	-0,055	0,063
10	სახსრების მობილურობის კოეფიციენტი	$14,35/23,15=0,620$	$15,104/30,316=0,498$	$12,479/36,950=0,337$	-0,122	-0,161
11	საკუთარი და ნასესხები სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი	$18,981/22,192=0,855$	$23,022/24,392=0,944$	$25,752/(21,444+8,233)=0,868$	0,089	-0,076
12	საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი	$7,161/18,981=0,377$	$6,065/23,022=0,263$	$8,246/25,752=0,320$	-0,114	0,057
13	ფინანსური დამოკიდებ- ულების კოეფიციენტი	$37,5/18,981=1,976$	$45,42/23,022=1,972$	$49,429/25,752=1,919$	-0,004	-0,053
14	გრძელვადიან დაბანდებათა სტრუქტურის კოეფიციენტი	$14,211/23,15=0,614$	$12,359/30,316=0,407$	$21,444/36,950=0,580$	-0,207	0,173

15	ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი	14,211/(14,2 11+18,98)=0 ,428	12,359/(12, 359+23,022) =0,349	21,444/(21,4 44+25,752)= 0,454	-0,079	0,105
16	სახსრების მანევრირების კოეფიციენტი	(14,35- 7,981) / 23,15 = 0,28	(15,104- 12,039) / 30,316 = 0,101	(12,479- 8,233) / 36,95 = 0,115	-0,179	0,014

საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი - ახასიათებს საწარმოს მესაკუთრის წილს მის საქმიანობაში ავანსირებული საშუალებების საერთო ოდენობაში. ოპტიმალური მნიშვნელობა მერყეობს 0,5-დან 0,8-მდე. რაც უფრო მაღალია კოეფიციენტი მით უფრო მდგრადია საწარმო ფინანსურად. უმჯობესია საკუთარი კაპიტალი აღემატებოდეს მოზიდული კაპიტალის წილს მთლიან აქტივებში. ეს მაჩვენებელი საწარმოს გრძელვადიანი გადახდის მაჩვენებელია და გამოითვლება საკუთარი კაპიტალის თანაფარდობით ბალანსის აქტივების ჯამთან.

$$\text{საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი} = \frac{\text{საკუთარი კაპიტალი}}{\text{ბალანსის აქტივების ჯამი}}$$

მოცემული კომპანიის მონაცემებზე დაყრდნობით საკუთარი სახსრების კონცენტრაციის კოეფიციენტი:

- 2017 წელს ტოლია 0,506;
- 2018 წელს ტოლია 0,507;
- 2019 წელს ტოლია 0,521.

ფინანსური კოეფიციენტების ანალიზით გამოვლინდა, რომ საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი გაუმჯობესდა 2018 წელს 2017 წელთან შედარებით 0,001-ით ასევე 2019 წელსაც გაუმჯობესდა 2018 წელთან შედარებით 0,014. ზოგადად რაც უფრო მაღალია ეს კოეფიციენტი მით უფრო მდგრადია საწარმო. ამ შემთხვევაში ზრდა ბუნებრივი მოვლენაა, რადგან საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი ტოლია საკუთარი კაპიტალის შეფარდება ბალანსის აქტივებთან. ორივე მაჩვენებელი ყოველწლიურად იმატებს. ასე რომ არ მოხდეს მაშინ საწარმო იქნება არამდგრად ფინანსურ მდგომარეობაში. საწარმოს არამდგრადობა კი იწვევს კრიზისებს. თუმცა აუცილებელია აღინიშნოს რომ ოპტიმალური შედეგი ამ კოეფიციენტის მერყეობს 0,5-დან 0,8-მდე თუ მეტი იქნება ეს ნიშნავს რომ კაპიტალი ბევრად აღემატება ბალანსის აქტივების ჯამს და ეს ნიშნავს რომ საწარმოში ინვესტიციების და მოზიდული სახსრების ნაკლებობაა. საუკეთესო ვარიანტი იქნება თუ პროპორციულად იზრდება ეს მაჩვენებლები.

ნასესხები სახსრების კონცენტრაციის კოეფიციენტი - გვიჩვენებს ქონების რა ნაწილია შეძენილი ნასესხები წყაროების ხარჯზე, გამოითვება ნასესხები წყაროების შეფარდება ბალანსის აქტივების ჯამთან.

$$\text{ნასესხები სახსრების კონცენტრაციის კოეფიციენტი} = \frac{\text{ნასესხები წყაროები}}{\text{ბალანსის აქტივების ჯამი}}$$

ნასესხები კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი სამივე წელს აღემატება 0,5-ს, რაც არასასურველია კომპანიისთვის, რადგან ამ კოეფიციენტის გამოთვლისას ნასესხებ სახსრებს ვაფარდებთ აქტივების ჯამს და რაც მეტია ამ კოეფიციენტის სიდიდე ნიშნავს რომ საწარმოს გააჩნია მეტი ვალდებულება. მოცემული საწარმოს მაგალთზე ჩანს, რომ 2017-2018 წლებში შეინიშნება კლების ტენდენცია, თუმცა 2018-2019 წლებში ისევ იმატებს და აღწევს 0,6. ამ კოეფიციენტის მატების მიზეზი არის საწარმოში სხვადასხვა გაუთვალისწინებელი ხარჯების წარმოქმნა.

სახსრების მობილურობის კოეფიციენტი - აქტივების ლიკვიდურ სახსრებად გარდაქმნის პოტენციური შესაძლებლობის მახასიათებელია. გაიანგარიშება

საბრუნავი აქტივების შეფარდებით გრძელვადიან აქტივებთან. თუ აღნიშნული მაჩვენებლის მნიშვნელობა 0.5-ის ტოლია ან მეტია, მაშინ ბალანსის აქტიური ნაწილის სტრუქტურა დარღვეული არ არის და აქედან გამომდინარე, საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას გაუარესების საშიშროება არ ემუქრება.

$$\text{სახსრების მობილურობის კოეფიციენტი} = \frac{\text{საბრუნავი აქტივები}}{\text{გრძელვადიანი აქტივები}}$$

სახსრების მობილურობის კოეფიციენტი, როდესაც ტოლია ან მეტია 0,5 ნიშნავს, რომ სტრუქტურა დარღვეული არაა, რადგან ეს გაიანგარიშება მიმდინარე აქტივების შეფარდებით გრძელვადიან აქტივებთან. მოცემული საწარმოს მაგალითზე 2017 წელს სტრუქტურა დარღვეული არაა თუმცა 2018 და 2019 წლებში შეინიშნება კლება. მოცემულმა საწარმომ 2019 წელს შეიძინა გრძელვადიანი აქტივი, ღუმელი, რომლის საფუძველზეც გაეზარდა გრძელვადიანი აქტივების ბალანსი, ხოლო მიმდინარე აქტივების მაქსიმალური ოდენობა გამოიყენა ღუმელის შესაძენად. აქედან გამომდინარე შემცირდა მიმდინარე აქტივების ბალანსი, მოიმატა გრძელვადიანი აქტივების ბალანსმა და საბოლოოდ სახსრების მობილურობის კოეფიციენტი შემცირდა.

საკუთარი კაპიტალის მანევრის კოეფიციენტი - ახასიათებს მიმდინარე საქმიანობის დაფინანსებისთვის გამოყენებულ საკუთარი კაპიტალის წილს. მისი მნიშვნელობა დარგის თავისებურებაზეა დამოკიდებული და მისი ნორმატიული მაჩვენებელი 0,5-ის ტოლია. გამოითვლება საკუთარი საბრუნავი სახსრების შეფარდებით საკუთარ კაპიტალთან.

$$\text{საკუთარი კაპიტალის მანევრის კოეფიციენტი} = \frac{\text{საკუთარი საბრუნავი სახსრები}}{\text{საკუთარი კაპიტალი}}$$

მოცემული საწარმოს მაგალითზე 2018 წელს მაჩვენებელი იკლებს რადგან იკლებს საკუთარი საბრუნავი სახსრები და იმატებს საკუთარი კაპიტალი. 2019 წელს ისევ შეინიშნება მატება. თუმცა 2017 წელთან შედარებით დაბალია.

საკუთარი და ნასესხები სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი - ეს ახასიათებს საწარმოს ფინანსურ სტრუქტურას და მდგრადობას, რაც მეტია საკუთარი კაპიტალის წილი მით ნაკლებია რისკები. ამ მაჩვენებლის ზრდა დადებითად მოქმედებს საწარმოზე. გამოითვლება საკუთარი კაპიტალის თანაფარდობით ნასესხებ კაპიტალთან.

$$\begin{aligned} & \text{საკუთარი და ნასესხები სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი} = \\ & = \frac{\text{საკუთარი კაპიტალი}}{\text{ნასესხები კაპიტალი}} \end{aligned}$$

საკუთარი და ნასესხები სახსრების თანაფარდობა ერთს ვერ აღწევს, 2017-2018 წლებში უმჯობესდება, თუმცა 2019 შეინიშნება ისევ კლების ტენდენცია. ეს მონაცემიც იკლებს ისევ იმის საფუძველზე რომ სახსრების მოძიება გახდა საჭირო გრძელვადიანი აქტივის შესაძენად.

ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი - გაიანგარიშება საკუთარი კაპიტალის შეფარდებით დაფინანსების წყაროების მთლიან ჯამთან და გვიჩვენებს საკუთარი სახსრების ხვედრით წილს დაფინანსების წყაროების საერთო ოდენობაში. ამ კოეფიციენტის მნიშვნელობა საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტის ტოლია, ვინაიდან გაიანგარიშებაში ერთი და იგივე სიდიდეები მონაწილეობს.

ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი - საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტის შებრუნებული სიდიდეა და გვიჩვენებს რამდენჯერ აღემატება აქტივები საკუთარ კაპიტალს. მაჩვენებლის ზრდა ნასესხები სახსრების ზრდაზე მიუთითებს, რაც საწარმოს ფინანსურ სტაბილურობას საფრთხის წინაშე აყენებს. ის გაიანგარიშება მთლიანი აქტივების შეფარდებით საკუთარ კაპიტალთან.

$$\text{ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი} = \frac{\text{მთლიანი აქტივები}}{\text{საკუთარი კაპიტალი}}$$

ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი თითქმის 2-ს უტოლდება ყოველწლიურად, რაც მიუთითებს იმაზე, რომ აქტივები 2-ჯერ აღემატება საკუთარ კაპიტალს.

გრძელვადიან დაბანდებათა სტრუქტურის კოეფიციენტი - გრძელვადიანი აქტივების რა ნაწილია დაფინანსებული გარე ინვესტორების მიერ ეს კოეფიციენტი გვიჩვენებს საწარმოს გარე ინვესტიციებზე დამოკიდებულების დონეს, რაც უფრო დიდია ეს კოეფიციენტი მით მეტია საწარმოში გარე ინვესტიცია. გამოითვლება გრძელვადიანი ვალდებულებების შეფარდება გრძელვადიან აქტივებთან.

$$\text{გრძელვადიან დაბანდებათა სტრუქტურის კოეფიციენტი} = \frac{\text{გრძელვადიანი ვალდებულებები}}{\text{გრძელვადიანი აქტივები}}$$

ფინანსური ლევრიჯი - განსაზღვრავს გრძელვადიანი ვალდებულებების წილს გამოყენებულ კაპიტალში, მისი ზრდა უარყოფითი მაჩვენებელია. ლევრიჯის დონის შეფასებისას უნდა გავითვალისწინოთ მოგებისა და ფულადი ნაკადის ზრდის ტემპები. ზომიერად მზარდი მოგებისა და ფულადი ნაკადების მქონე კომპანიამ უფრო მშვიდად უნდა აიღოს დიდი ვალი, ვიდრე არამყარი და ქაოსური ფულადი სახსრების მქონე კომპანიამ. გამოითვლება გრძელვადიანი ვალდებულების შეფარდებით მთლიან კაპიტალთან, სადაც მთლიანი კაპიტალი არის გრძელვადიანი ვალდებულებების და საკუთარი კაპიტალის ჯამი.

$$\text{ფინანსური ლევრიჯი} = \frac{\text{გრძელვადიანი ვალდებულებები}}{\text{მთლიანი კაპიტალი}}$$

მთლიანი კაპიტალი = საკუთარი კაპიტალი + გრძელვადიანი ვალდებულებები

ფინანსური ლევრიჯის კოეფიციენტი 2018 წელს შეიმჩნევა კლება და ეს კარგია რადგან ეს მიანიშნებს რომ გრძელვადიანი ვალდებულებები იკლებს, ხოლო 2019

წელს კვლავ მატების ტენდენცია შეინიშნება რადგან ვალდებულებების წილმაც მოიმატა.

სახსრების მანევრირების კოეფიციენტი- თავისი შინაარსით ეს კოეფიციენტი ასახავს საწარმოს აქტივების ლიკვიდურობის მაჩვენებელს, რამდენად სწრაფად შეუძლია შეუძლია გარდაიქმნეს აქტივი ფულად სახსრებად. ოპტიმალურ მნიშვნელობად მიიჩნევა მეტი ან ტოლი 0,2-ის.

$$\begin{aligned} & \text{სახსრების მანევრირების კოეფიციენტი} = \\ & = \frac{\text{მიმდინარე აქტივებს} - \text{მოკლევადიანი ვალდებულებები}}{\text{საბრუნავი აქტივების ჯამი}} \end{aligned}$$

სახსრების მანევრის კოეფიციენტი მიანიშნებს რომ 2017 წელს კოეფიციენტი იდეალურზე მაღალია რაც მიანიშნებს რომ აქტივების სტრუქტურა დარღვეული არაა და ლიკვიდურია, ხოლო 2018 წელს უარესდება, მაგრამ კვლავ მატება შეიმჩნევა 2019 წელს, მაგრამ იდეალურ ნიშნულს ვერ აღწევს.

მოცემული საწარმოს შედეგებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, საწარმო ფინანსურად მდგრადია, თუმცა კოეფიციენტების დათვლით გამოვლინდა, რომ რიგ ნაწილში საწარმოს აქვს გარკვეული პრობლემები და აუცილებელია შემდეგ ეტაპზე დასახოს გეგმა ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად. თუ ასე არ მოიქცევა და განაგრძობს მუშაობას ამ ტემპით ნებისმიერ მომენტში შესაძლებელია შეექმნას კრიზისი.

პირველ რიგში აუცილებელია შექმნან ფონდები იმისათვის, რათა ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯზე ან ახლის ყიდვაზე არ დასჭირდეთ ვალდებულების აღება გაუთვალისწინებლად. ასევე აუცილებელია შეამციროს მიმდინარე ვალდებულებები, გაზარდონ შიდა და გარე წყაროების დახმარებით საბრუნავი აქტივები, რადგან 2018 და 2019 წლებში სახსრების მანევრის კოეფიციენტმა გვიჩვენა რომ აქტივების სტრუქტურა დარღვეულია.

თავი მესამე. კომპანიის გადახდისუნარობის პროგნოზირება და მისი გამოსწორების გზები.

3.1. გადახდისუნარობის (გაკოტრების) მნიშვნელობა და შეფასების მეთოდები.

გაკოტრება, გადახდისუნარობა და ბანკროტი ეს სამივე იდენტური მნიშვნელობის მატარებელი სიტყვებია და ეკონომისტები ამას ფინანსურ კრახს უწოდებენ. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ხშირად ორგანიზაციები ახალი გამოწვევების წინაშე დგებიან, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს ასევე შემოსავლების კლება, ეს თავის მხრივ იწვევს ფინანსურ კრიზისს.

გაკოტრება (გადახდისუნარობა) ესაა მდგომარეობა როდესაც ორგანიზაცია არის უუნარო გადაიხადოს არსებული ვალდებულებები დათქმულ ვადაში. ამ დროს ორგანიზაცია კრიზისულ მდგომარეობაშია. კომპანიის გადახდისუნარიანობის გამომწვევი მრავალი მიზეზი არსებობს. ერთ-ერთი გაკოტრების გამომწვევია ვადაგადაცილებული კრედიტორული დავალიანებები, თუმცა აუცილებელია ითქვას, რომ ვადაგადაცილებული ფინანსური ვალდებულება პირდაპირ გაკოტრებას არ ნიშნავს, ეს უბრალოდ არის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი, წინაპირობა რომელიც შესაძლებელია უძღვოდეს გაკოტრების პროცესს. თუ ორგანიზაცია გაანალიზებს პრობლემებს, შესაძლებელია თავიდან აიცილოს ეს მდგომარეობა. უნდა დაიწყოს კრედიტორებთან მოლაპარაკება თანხების გადანაწილებასთან დაკავშირებით, ასევე მაქსიმალურად შეამციროს ხარჯები, რათა საჭირო არ გახდეს დამატებითი რესურსების მოძიება. ასევე გადახდისუნარობის გამომწვევად შეიძლება ჩაითვალოს დებიტორული დავალიანებების არ გადახდა.

ორგანიზაციის ფინანსური კრიზისი იწვევს კრედიტორთა აფორიაქებას, ისინი ამ დროს ცდილობენ საკუთარი თანხების უკან დაბრუნებას და არ ფიქრობენ იმაზე, რომ შესაძლებელია ამ ნაბიჯით უფრო დაამძიმონ მდგომარეობა, რომელიც მეტ

ზიანს მიაყენებს როგორც თვითონ კრედიტორებს ასევე საწარმოებს, ამიტომ აუცილებელია ეს პროცესი იმართებოდეს სამართლებრივად. დღესდღეობით საქართველოში მოქმდი კანონმდებლობით ზემოთ აღნიშნულ პროცესს არეგულირებენ კანონით: „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“. ეს კანონი საქართველოში მოქმედებს 2007 წლის 28 მარტიდან. კანონის მიზანს წარადგენს მოვალისა და კრედიტორის ინტერესების თანაბარზომიერი დაცვა, შესაძლებლობის შემთხვევაში მოვალის ფინანსური სიმძნელების გადაჭრა და კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება ან ამის შეუძლებლობის შემთხვევაში მოვალის ქონების რეალიზაციით მიღებული თანხების გადანაწილებით კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება. ეს კანონი უზრუნველყოფს დაეხმაროს ფირმებს გაჯანსაღებაში რომელსაც კიდევ შესწევს ამის რესურსი ან დაეხმარონ ბაზრიდან გასვლაში, თუ რა თქმა უნდა აღდგენა შეუძლებელია.

კანონი ითვალისწინებს:

- გადახდისუუნარობის საქმის წარმოებას და რეგისტრაციას;
- მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებას;
- მეურვის დანიშვნა;
- მომრიგებელი საბჭოს დანიშვნა;
- კრედიტორთა მოთხოვნების მიღება;
- გაკოტრება;
- რეაბილიტაცია.

განცხადების სასამართლოში შეტანის საფუძველი მოსალოდნელი გადახდისუუნარობის დადგენაა. განცხადების შეტანის უფლება აქვს:

- მოვალეს, რომელიც მოსალოდნელი გადახდიუუნარობის წინაშე დგას;

⁶ საქართველოს კანონი გადახდისუუნარობის საქმის წარმოება შესახებ. (2007). თბილისი: საქართველოს პარლამენტი.

- საბაჟო/საგადასახადო ორგანოს თუ ვალის ოდენობა აღემატება 50000 ლარს და გასულია 60 კალენდარულ დღეზე მეტი;
- კრედიტორს იმ შემთხვევაში თუ სხვა კრედიტორების სასარგებლოდ არის მიღებული სასამართლო დადგენილება;
- კრედიტორს რომლის მოთხოვნაა აღემატება 30%;
- 2 კრედიტორს ერთად თუ ვალდებულების მოთხოვნიდან გასულია 30 დღე, არ გასაჩივრებულა მოვალის მიერ და მათი ჯამური ვალდებულება 150000 ლარს აღემატება.

სასამართლო გადაწყვეტილებაზე შესაძებელია საჩივრის შეტანა, კერძო საჩივრის შეტანა შეუძლია ნებისმიერი წარმოების პროცესისი მხარეს, გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის განმავლობაში.

სასამართლოს მიერ ხდება მეურვის დანიშვნა, რომელიც უნდა იყოს მიუკერძოებელი, დამოუკიდებელი პირი, უნდა განახორციელოს ორგანიზაციის მართვაზე, განიხილოს კრედიტორული და დებიტორული დავალიანებები, მოთხოვნის შესაბამისად წარუდგინოს ინფორმაცია სასამართლოს და მომრიგებელ საბჭოს და დაიცვას სამეურვეო ქონება. მის გასამრჯელოს ადგენს სასამართლო.

მომრიგებელი საბჭო შედგება სამი წევრისაგან შედგება კრედიტორთ პირველკრებაზე და მათი მოვალეობაა შეაფასოს და გადაწყვიტოს მოვალის გადახდიუნარობის საკითხი. ერთ წევს ნიშნავს მოვალე, მეორეს კრედიტორი და მესამე წევრი შეირჩევა შეტანხმებით.

სასამართლოს განჩინების გამოქვეყნებიდან 30 დღის განმავლობაში კრედიტორებმა უნდა წარადგინონ მოთხოვნები, მოვალის მიმართ და უნდა დაურთონ ვალის დამადასტურებელი დოკუმენტები. კრედიტორთა მოთხოვნები უნდა აისახოს ეროვნულ ვალუტაში. მოსამართლე გამოსცემს რეესტრს, რომლის მიხედვითაც ხდება კრედიტორების ვალდებულებების გასტუმრება.

გაკოტრების წარმოება იწყება სასამართლო განაჩენის გამოტანის შემდეგ, ამ პროცესს მართავს გაკოტრების მმართველი, რომელსაც ნიშნავენ კრედიტორები

სასამართლო გადაწყვეტილებიდან 3 დღის ვადაში. გაკოტრების მმართველი შესაძლებელია იყოს როგორც ფიზიკური ისე იურიდიული პირი და რაც მთავარია უნდა იყოს მიუკერძოებელი. სამეურნეო ქონება იყიდება მხოლოდ აუქციონის მეშვეობით. აუქციონის ჩატარებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს გაკოტრების მმართველი და ასევე უზრუნველყოფს ინფორმაციის გამოქვეყნებას. აუქციონში მონაწილე პირებმა უნდა მიმართონ განცხადებით გაკოტრების მმართველს. თუ პირველ აუქციონზე ვერ მოხერხდა ქონების გაყიდვა ინიშნება მეორე აუქციონი და თუ კიდევ ვერ მოხერხდა გაყიდვა ეს ნივთები საკუთრებაში გადაეცემათ კრედიტორებს.

რეაბილიტაციის პროცესი იწყება სასამართლო განაჩენის შემდეგ და ამ პროცესს მართავს რეაბილიტაციის მმართველი, რომელსაც ნიშნავენ კრედიტორები. რაც შეეხება გეგმის დამტკიცება ხდება კრედიტორთა მიერ. რეაბილიტაციის გეგმა უნდა შედგენ არა უმეტეს 30 დღეში.

საქართველოში არსებული კანონის მიხედვით სამართლებრივად გადახდისუუნარობა არ ეხება ფიზიკურ პირებს, თუ რა თქმა უნდა ის დარეგისტრირებული არ არის ინდივიდუალურ მეწარმედ. კანონი ვრცელდება მხოლოდ იურიდიულ პირებზე.

გაკოტრებამდე ორგანიზაცია შესაძლებელია მივიდეს იმ შემთხვევაში თუ მას საკუთარი ფინანსების სწორად მართვა არ შეუძლია, ანუ არასწორად აქვს დაგეგმილი ხარჯები. ყველაზე ხშირად გადახდისუუნარონი ისეთი ორგანიზაციები ხდებიან, რომლებიც ერთი ფინანსური ვალდებულების დასაფარად სხვა ფინანსურ ვალდებულებას იღებენ, რომელიც უფრო მეტია ვიდრე წინა. თუკი აღებულ კრედიტს ორგანიზაცია მისცემს სწორ მიმართულებას ამ შემთხვევაში ის არ აღმოჩნდება ფინანსურ კრიზისში და შეძლებს ფუნქციონირებას.

ორგანიზაციის გაკოტრების მრავალი მიზეზი არსებობს. მიზეზები შესაძლებელია დავაჯგუფოთ შიდა და გარე მიზეზებად.

3.1 სქემა. ორგანიზაციის გაკოტრების მიზეზები.

გარე მიზეზები



დემოგრაფიული ფაქტორები;
მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების
დონე;
ეკონომიკური ფაქტორები;
პოლიტიკური ფაქტორები;
საერთაშორისო კონკურენცია;

შიდა მიზეზები



საბრუნავი სახსრების დეფიციტი;
საწარმოს იურიდიული დეპარტამენტის
უმოქმედობა;
კრედიტორულ-დებიტორული ვალების ზრდა.

გამოიყოფა გაკოტრების სხვადასხვა სახეები:

- ორგანიზაციის რეალური გაკოტრება - ამდროს საწარმო გადახდისუუნაროა აქვს მაღალი კრედიტორული დავალიანება და რესურსების დეფიციტი;
- პირობითი გაკოტრება - ამ დროს საწარმოს აქტივების ღირებულება ბევრად ნაკლებია მის ვალდებულებებზე. ასევე შესაძლებელია ქონდეს დებიტორული დავალიანებები;
- წინასწარ განზრახული გაკოტრება - ამ დროს მესაკუთრეები კონკრეტული მიზეზის გამო ქმნიან იქეთ მდგომარეობას, რომ საწარმო აღმოჩნდეს გადახდისუუნარო მდგომარეობაში;
- ცრუ ანუ ფაქტიური გაკოტრება - ამდროს ორგანიზაციის მმართველები სპეციალურად ცდილობენ ისეთი შედეგების დადებას რომ კრედიტორები მოატყუონ და შესაბამისად მოხდეს ვალდებულებების გადავადება.

როგორც უკვე აღვნიშნე გაკოტრება ეს ბუნებრივი პროცესია საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ზოგიერთი ორგანიზაცია კრახს განიცდის დასაწყისშივე ზოგიერთი მომწიფების ეტაპზე, ყველა საწარმო გადის ინდივიდუალურ გზას და პროცესების მართვაც ხდება ინდივიდუალურად. ერთადერთი რაც ყველამ უნდა გაითვალისწინოს, აუცილებელია საწყის ეტაპზევე ორგანიზაციამ დაიწყოს მკაცრი ფინანსური გეგმით მუშაობა რათა კრახი არ განიცადონ დაწყებისთანავე და არ გახდეს კომპანიის ლიკვიდაცია აუცილებელი.

იმისათვის რომ უფრო თვალსაჩინო გახდეს ზემოთ აღნიშნული განვიხილავ კომპანიის შედეგებს, რომელიც მეექვსე თვეა რაც დაიწყო ფუნქციონირება. მოცემული ორგანიზაცია აწარმოებს ცხოველთა და ფრინველთა საკვებს. მე ვხედავ საკმაოდ ბევრ პრობლემაც, არის გარკვეული რისკები რომელიც აუცილებელია გამოსწორდეს, რათა მათ დასახული მიზნები შეასრულონ.

მოცემული კომპანიის ბრუნვითი უწყისი გამოიყურება შემდეგი სახით:

3.1. ცხრილი. შპს „აგროკომბი“ ფინანსური მაჩვენებლები.⁷

ანგარიშის დასახელება	ბრუნვა დებეტი	ბრუნვა კრედიტი	ნაშთი დებეტი	ნაშთი კრედიტი
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	956 850.95	908 179.04	48 674.91	-
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	43 227.64	43 227.64	-	-
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	964 212.7	956 237.9	7974.8	-
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	104 168.67	104 130.67	7 974.8	-
მოთხოვნა მიწოდებიდან და მომსახურებიდან (დებიტორული დავალიანება)	1 291 655.34	1 052 479.06	239 176.28	-
მოთხოვნა საწარმოს პერსონალის მიმართ	1 850	-	1 850	-
საქონელი	2 149 908.94	1 750 914.41	398 994.53	-

⁷ შპს „აგროკომბი“ ბრუნვითი უწყისი.

ნედლეული და მასალები	1 070 852.78	944 071.91	126 780.87	-
წარმოების ზედნადები ხარჯები	16 919.12	120.93	16 798.19	-
ოფისის აღჭურვილობა	1 322.04	-	1 322.04	-
სატრანსპორტო საშუალებები	12 537.00	-	12 537.00	-
მიწოდებიდან და მოთხოვნიდან წარმოშობილი ვალდებულებები (კრედიტორული დავალიანება)	1 000 1535.46	1 731 230.64	-	729 695.28
გადასახდელი ხელფასები	57 741.29	57 741.29	-	-
ვალდებულება დამფუძნებლის წინაშე	-	57 060	-	57 060
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	6730	11 733.28	-	5003.28
გადასახდელი დღგ	330.38	196636.95	-	196306.57
გადახდილი დღგ	271 702.17	49 137.00	222 565.17	-
სოციალური გადასახადი	1 921.16	2 149.82	-	228.66
შემოსავალი რეალიზაციიდან	1059 590.68	1 289060.09	-	229 469.48
გაყიდული საქონლის უკანდაბრუნება და ფასდათმობა	940	780.79	159.2	-

სხვა საოპერაციო ხარჯები	65 984.74	-	65 984.74	-
რეკლამის ხარჯები	1254.6	-	1254.6	-
შრომის ანაზღაურება	53 520.05	-	53 520.05	-
სოციალური დანარიცხები	1074.91	-	1074.91	-
საიჯარო ქირა	4478.88	-	4478.88	-
საკანცელარიო ხარჯი	125.17	-	125.17	-
რემონტის ხარჯი	147.45	-	147.45	-
საბანკო ხარჯი	741.38	-	741.38	-

კომპანიის ბრუნვითი უწყისიდან ჩანს, მიუხედავად იმისა რომ საწარმო ახალი დაფუძნებულია, ბრუნვა მაღალია და აქვს წარმოების უწყვეტი პროცესი, არსებობს ბევრი მიმდინარე პრობლემა, რომელსაც შესაბამისი ყურადღება უნდა დაუთმონ მმართველებმა. რათა საჭირო არ გახდეს ლიკვიდაცია.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ საწარმო დაფუძნდა მხოლოდ დამფუძნებლის შემონატანით, რომელიც 57060 ლარს შეადგენს. კომპანიას ქარხანა და ასევე ყველა სასაწყობე ფართი აქვს იჯარით. ქარხანაში ნებისმიერ დროს შესაძლებელია გაჩნდეს პრობლემა. წარმოების პროცესში მონაწილე დანადგარის ერთ ერთი ნაწილი არის დაზიანებული, რომელიც შეკვეთიდან 6 თვეში მზადდება, ეს ნიშნავს რომ თუ ეს ნაწილი კვლავ დაზიანდება წარმოების პროცესი შეწყდება 6 თვით. ეს გამოიწვევს მომხმარებლების უკმაყოფილებას, უნდობლობას და კონკურენტებს ამით მიეცემათ უპირატესობა.

ასევე დიდ პრობლემას წარმოადგენს არსებული კრედიტორული ვალდებულებები, ეს ვალდებულებები არ არის ბანკის მიმართ მაგრამ მაინც დიდი

რისკის შემცველია. მიუხედავად იმისა რომ ყველა კრედიტთან აქვთ შეთანხმება გაფორმებული გადანაწილებით გადახდაზე, შეიძლება ნებისმიერ დროს თვითონ კრედიტორს შეექმნას პრობლემა და ნედლეულის მოწოდება ვეღარ შეძლოს.

ასევე დიდი რისკის მატარებელია მაღალი დებიტორული ვალდებულების არსებობა.

მიუხედავად მიმდინარე რისკებისა შესაძლებელია ამ პრობლემების მოგვარება და გეგმის ჩამოყალიბება ისე, რომ საწარმომ უახლოეს პერიოდში არ შეწყვიტოს ფუნქციონირება და არ დადგეს გაკოტრების გადახდისუუნარობის რისკის წინაშე.

ასევე უნდა აღინიშნოს მსოფლიოში არსებული პანდემიის მიუხედავად, რომელმაც მთელი სამყაროს კრიზისი გამოიწვია, აგროკომპმა გაართვა თავი და დაძლია ის კრიზისები, რომელიც თან ახლავდა პანდემიას. კომპანია დაფუძნდა პანდემიის პარალელურად და არ შეუწყვიტავს წარმოება.

კომპანიამ იმისათვის რომ დაძლიოს რისკის შემცველი საკითხები აუცილებელია იზრუნოს შემდეგ პრობლემების მოგვარებაზე:

- წინასწარ უნდა უზრუნველყოს იმ დანადგარის ნაწილის შეძენაზე, რომელმაც შესაძლებელია შეაჩეროს წარმოება;
- აუცილებელია მოიძიონ დაფინანსების გარე წყაროები;
- ინვესტორები დაარწმუნოთ მიმდინარე საქმიანობის საფუძველზე, რომ განახორციელონ ინვესტიცია;
- შეამცირონ კრედიტორული ვალდებულებები;
- მინიმუმამდე დაიყვანონ დებიტორული დავალიანებები.

თუ ზემოთ აღნიშნული რისკები დროულად იქნება მოგვარებული და გაწერილი იქნება დაწვრილებით მომდევნო ეტაპზე გადასადგმელი ნაბიჯები, კომპანიას ექება დიდი პოტენციალი დაიკავოს წამყვანი ადგილი ბაზარზე და უპირატესობები მოიპოვოს კონკურენტებზე.

3.2. კომპანიის ფინანსური საქმიანობის გაჯანსაღების ძირითადი გზები.

თანამედროვე პირობებში ორგანიზაციების ფინანსური მდგრადობის შენარჩუნებას უპირველესი ადგილი უჭირავს. კომპანიები მუდამ მზად უნდა იყვნენ შეასრულონ თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნები, რათა კონკურენციის გაწევა შეძლონ კონკურენტებზე და მომხმარებლებს მიაწოდონ ის პროდუქტი და მომსახურება, რაც მათ სურვილებს დააკმაყოფილებს, ეს არის უპირველესი რათა მათ მოახდინონ მოგების მაქსიმიზაცია.

ბიზნეს გარემოს, შეიძლება ასეც ითქვას, კანონზომიერ პროცეს წარმოადგენს დროდადრო კრიზისული სიტუაციების შექმნა, რომელიც აუცილებელია ვმართოთ სწორად, რათა არ მივალწიოთ ფინანსურ კრახს. კრიზისული მდომარეობის კანონზომიერებას იწვევს მუდმივად ცვალებადი მაკროსამყარო და მისი თავიდან აცილება შესაძლებელია მხოლოდ თუ საწარმოს ექნება ჩამოყალიბებული კრიზისების მართვის სისტემა.

კომპანიის გაკოტრება ზიანს აყენებს არა მხოლოდ მის მფლობელებს არამედ ორგანიზაციის პარტნიორთა ჯგუფის სხვა წევრებს, ესენი შეიძლება იყვნენ მომხმარებლები, მომწოდებლები, ინვესტორები და დასაქმებული ადამიანები. თუ ორგანიზაცია იმყოფება კრიზისულ მდგომარეობაში ეს ნიშნავს რომ მომხმარებლები იმ მომსახურებას და პროდუქციას ვეღარ იყიდებიან რასაც წლების მანძილზე იყენებდნენ, ინვესტორები ვერ შეძლებენ ინვესტირებული თანხა უკან დაიბრუნოს, დასაქმებული ადამიანები დაკარგავენ სამსახურს, კრედიტორების გასესხებული თანხების უკან დაბრუნების საკითხი ეჭვის ქვეშ დადგება. ეს ყველაფერი კი ნიშნავს რომ მთლიანი ჯაჭვის, სისტემის ჩამოშლა მოხდება.

იმისათვის რომ საწარმომ შეინარჩუნოს კონკურენტუნარიანობა და ფინანსური მდგრადობა აუცილებელია ანტიკრიზისული მართვის გეგმის შემუშავება.

ანტიკრიზისული გეგმის შემუშავების ძირითადი ამოცანებია:

- ❖ ისეთი ღონისძიებების დაგეგმვა, რომელიც საწარმოს კრიზისული მდგომარეობიდან გამოიყვანს;
- ❖ კრიზისის დროს დანაკარგების შემცირება.

მთავარი ინსტრუმენტი ანტიკრიზისული მართვისას არის ფინანსური გაჯანსაღება. ორგანიზაციის ფინანსური გაჯანსაღება შეიძლება აღვიქვათ, როგორც ორი კონკრეტული მიზნის მიღწევა:

- ❖ გადახდისუნარობის დაძლევა კონკრეტული პერიოდისთვის;
- ❖ საწარმოს ფინანსური რესურსის ოპტიმალური გამოყენება, რომელიც მოგებას მოიტანს გრძელვადიანი პერიოდისთვის.

გაჯანსაღება და ბიზნეს პროცესების ხელახალი განსაზღვრა, დაგეგმვა და შემდეგ ამ გეგმაზე გადაწყობა, საჭირო ხდება იმ შემთხვევაში თუ:

- ❖ კომპანია ფინანსურად არამდგრადია, ანუ კრიზისულ მდგომარეობაშია და არაპროდუქტიულია;
- ❖ ფინანსურად მდგრადია, თუმცა შეუძლებელია მომავლის პროგნოზების გაკეთება.

ანტიკრიზისული ბიზნეს გეგმა კრიზისების მართვის ერთერთი ეტაპია და ხორციელდება ისეთ დროს, როდესაც ორგანიზაცია რთულ მდგომარეობაში იმყოფება, აქვს მცირე ფინანსური რესურსები ან მცირე დრო და ასევე მაშინაც როდესაც კრედიტორებთან ურთიერთობები ეძაბებათ. მისი მიზანია საწარმოს გაჯანსაღება.

განასხავებენ ფინანსური გაჯანსაღების ორ ტიპს: ⁸

- ❖ აქტიური პოლიტიკა;
- ❖ პასიური პოლიტიკა.

⁸ ჩეჩელაშვილი, ა. (2013). *ფინანსური მდგომარეობისა და მდგრადობის გაუმჯობესების გზები ლუდის და უალკოჰოლო სასმელების წარმოებაში*. თბილისი. გვ 169

თუ საწარმო ირჩევს აქტიურ პოლიტიკას ეს ნიშნავს რომ მან უნდა დაიპყროს ახალი ბაზრები, გამოუშვას ინოვაციური საქონელი და მომსახურება და შესთავაზოს ბაზარს.

თუმცა თუ საწარმო ირჩევს პასიურ პოლიტიკას ამ შემთხვევაში ის ცდილობს დახუროს წაგების მომტანი საამქროები და გასაღების არხები, შეამციროს პროდუქციის რაოდენობის წარმოება და ასევე შეამციროს თანამშრომლები, მოახდინოს ძირითადი საშუალებების რეალიზაცია, რომელიც შესაძლებელია მომავალში ისევ გახდეს საჭირო, მაგრამ ამით ცდილობს მოკლევადიან პერიოდში კრიზისს დააღწიოს თავი.

ფინანსური გაჯანსაღების პროცესში შესაძლებელია დავყოთ საქმიანობის მიხედვით:⁹

- ❖ საწარმოო საქმიანობა, რომელიც მოიცავს ხარჯების შემცირებას და ამის საფუძველზე პროდუქციის თვითღირებულების დაწევას, საწარმოს გაწეული მომსახურების ხარისხის ანალიზს და ასევე პროდუქციის ხარისხის ანალიზი;
- ❖ ფინანსური საქმიანობა უფრო კონკრეტულად დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების ანალიზი;
- ❖ მარკეტინგული საქმიანობა მოიცავს სარეკლამო ღონისძიებების დაგეგმვას, რომელიც მოახდენს რეალიზაციის მოხულობის გაზრდას;
- ❖ მენეჯმენტი ძირითადად მოიცავს კადრებზე დაკვირვებას, ნაყოფიერების ამაღლებას და ამის ხარჯზე პერსონალის შემცირებას;

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღებაში დიდი ადგილი უჭირავს, რესურსების ოპტიმალურ გამოყენებას, ამ დროს აუცილებელია ისეთი მეთოდების დანერგვა, რომელიც შეგვიძლია ხარჯებს. ასევე ორგანიზაციის გაჯანსაღებაში დიდი როლი აქვს ფინანსურ დახმარებას, თუმცა აუცილებელია მოზიდული


⁹. ჩეჩელაშვილი. ა. (2013). *ფინანსური მდგომარეობისა და მდგრადობის გაუმჯობესების გზები ლუდის და უალკოჰოლო სასმელების წარმოებაში*. . თბილისი.

რესურსები სწორად იმართოს და არ მოხდეს ისე რომ უფრო დიდი კრიზისი წარმოიქმნას. ფინანსური დახმარება შეიძლება იყოს რგორ პირდაპირი ინვესტიცია ასევე ირიბი ინვესტიცია.

პირდაპირი ინვესტიცია შესაძლებელია იყოს გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხების აღება, ხოლო ირიბი ინვესტიცია ესაა კრედიტორების მიერ ვალდებულებების შემცირება.

სქემზე ნაჩვენებია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება, რომელიც ხდება ეტაპობრივად.

3.2 სქემა. ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების ეტაპები¹⁰



¹⁰ ქეშელაშვილი. გ. (2019). ანტიკრიზისული მენეჯმენტი, მე-3 გამოცემა. თბილისი.

მოკლედ რომ ვთქვათ შესაძლებელია ორგანიზაციების კრიზისიდან გამოყვანა და გაჯანსაღება თუ რა თქმა უნდა ზუსტად დავადგენთ რაში მდგომარეობს პრობლემა და დავსახავთ პრობლემის გადაჭრის გზას.

დასკვნა

სამაგისტრო ნაშრომში განხილულია კონკრეტული კომპანიების ფინანსური მდგომარეობის შეფასების მეთოდები, ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა და კრიზისების დაძლევის ხერხები. ასევე, კონკრეტული კომპანიის მაგალითზე დაყრდნობით განხილულია კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, ბოლო სამი წლის მაჩვენებლებზე დაყრდნობით, რათა აღქმადი ყოფილიყო თეორიულად განხილული საკითხები.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, კომპანიების ფინანსური მდგომარეობის არსებული დონის შენარჩუნება მთავარი გამოწვევაა, რომლის შეფასებაც შესაძლებელია ფინანსური ანალიზის საშუალებით. ის კომპანიები, რომლებიც ფინანსურ მდგომარეობას ანალიზებენ და პრობლემის იდენტიფიკაციას ახდენენ, როგორც წესი წარმატებულები არიან. ხოლო კომპანიები რომლებიც ვერ აანალიზებენ მოსალოდნელ საფრთხეებს, შესაბამისად, კრიზისის დაძლევა უჭირთ და კოტრდებიან.

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის კვლევის შედეგად შესაძლებელია დავასკვნათ:

- ფინანსური მდგომარეობა არის კომპანიის წარმატების ან წარუმატებლობის წინაპირობა. კომპანიები უნდა იყვნენ კონკურენტუნარიანი და უნდა შეეძლოთ შესაბამისი ხარჯების თავზე აღება, რათა არ აღმოჩნდნენ კრიზისულ მდგომარეობაში;
- კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შეფასება შეუძლებელია მხოლოდ ზედაპირული ანალიზით, აუცილებელია უფრო ღრმა და დეტალური ანალიზი, რათა შემუშავებული იქნას სათანადო რეკომენდაციები;
- კომპანიის ფინანსურ მდგომარეობის სიმწელების დაძლევა შესაძლებელია ისეთი ღონისძიებების გატარებით როგორცაა:

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის სწორი დიაგნოსტიკა, ფინანსური გაჯანსაღებისთვის სათანადო რეკომენდაციების გაცემა;

- კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღების მნიშვნელოვანი რეზერვის, რესურსების ოპტიმალური გამოყენების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ნორმატივებისა და რესურსების დამზოგავი ტექნოლოგიების დანერგვა.

იმისათვის რომ კომპანიის ფინანსური საქმიანობა გაუმჯობესდეს და ამაღლდეს ეფექტიანობა, აუცილებელია ანალიზის ჩატარება შემდეგი ნაბიჯებით: მოსამზადებელი ეტაპი, ინფორმაციის ანალიზური დამუშავები და შესაბამისი დასკვნების და რეკომენდაციების შემუშავება. სამაგისტრო ნაშრომში განხილული კომპანიის ფინანსურ შედეგებზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას რომ კომპანია სტაბილურ მდგომარეობაშია, თუმცა აქვს მცირედი კრიზისები სხვადასხვა დროს, თუ ეს კრიზისები თავიდანვე იქნება გააზრებული და პრობლემა აღმოჩენილი კომპანია არ მივა გადახდისუნარობის ზღვარზე. ნაშრომში ასევე განხილულია კომპანია „აგროკომბი“, რომელიც მეექვსე თვეა რაც ბაზარზეა და მიუხედავად პანდემიისა, რომელმაც მთელი მსოფლიოს კრიზისი გამოიწვია დაიწყო სტაბილურად ფუნქციონირება. თუმცა, როგორც უკვე ავღნიშნე კომპანიაში არის ბევრი რისკის შემცველი საკითხი, რომელიც აუცილებელია გამოსწორდეს, რათა არ აღმოჩნდეს კრიზისულ მდგომარეობაში.

ბიბლიოგრაფია

1. საქართველოს კანონი გადახდისუუნარობის საქმის წარმოება შესახებ. (2007). თბილისი: საქართველოს პარლამენტი.
2. ბარბაქაძე, ხ. (2009). კორპორაციათა ფინანსები. თბილისი .
3. ბახტაძე, ლ., კაკულია, რ., თუთბერიძე, გ.,. (2009). კორპორაციათა ფინანსები. თბილისი.
4. ბერძენიშვილი, შ. (2003). ფინანსური მენეჯმენტი. . თბილისი.
5. გაბელაი, ა. (2011). ფინანსები. თბილისი.
6. დარსაველიძე, ნ. (2012) "ეკონომიკური მდგრადობის შეფასება სატრანსპორტო და მანქანათმშენებელი ფირმების ანტიკრიზისულ მართვაში". თბილისი
7. კაკულია, რ., ბახტაძე, ლ., თუთბერიძე, გ. (2008). კორპორაციათა ფინანსები. თბილისი.
8. კვატაშიძე, ნ., ხორავა, ა. გოგრიჭიანი, ზ. (2011). ფინანსური ანგარიშგება. თბილისი: მერიდინი.
9. ლიპარტია, ზ. (2003). ეკონომიკური ანალიზის თეორია. თბილისი.
10. მუნჯიშვილი, თ. (2019). „საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასება და გაკოტრების პროგნოზის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელების სიმულაციური მეთოდით“. თბილისი.
11. ქეშელაშვილი. გ. (2019). ანტიკრიზისული მენეჯმენტი, მე-3 გამოცემა. თბილისი.
12. ლუდუშაური, ზ. (2007). ფინანსური მენეჯმენტი. თბილისი.
13. შპს "აგროკომბი" ბრუნვითი უწყისი.
14. ჩეჩელაშვილი. ა. (2013). ფინანსური მდგომარეობისა და მდგრადობის გაუმჯობესების გზები ლუდის და უალკოჰოლო სასმელების წარმოებაში. . თბილისი.

15. ჭილაძე, ი. (2018). ფინანსური ანალიზი, მესამე გადამუშავებული გამოცემა. თბილისი: მერანი.
16. ჯიქია, მ., ჩეჩელაშვილი, რ., ბურდული, ფ.. (2010). ეკონომიკური ანალიზი. თბილისი: მერიდიანი.
17. ჰორნი, ვ. (2009). ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები.
18. Ellis Y. Williams D . (1993). Corporate Strategy and Financial Analysis. .
19. Бочаров В.В., Леонтьев В.Е. (2004). Корпоративные финансы. Санкт-Петербург.
20. Брейли Р. ,Майерс С., . (2009). Принципы корпоративных Финансов.